თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“


## საუბრები უსტრატეგიო ქალაქის სტრატეგიაზე





იხილეთ მე-3 გვერდზე


№11 (699) 14 - 20 აპრილი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი PSnews.ge


ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# საქართველოში ყოველი მეორე ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია



**იმ პირობებში, როდესაც საქართველოში ეკონომიკური ფონი ძალზე დაბალია, კითხვაზე, თუ რა მიაჩნიათ ქვეყანაში ყველაზე მტკივნეულ პრობლემად, გამოკითხული რესპონდენტების სრული უმრავლესობა უმუშევრობას ასახელებს. ამავე კითხვის პასუხად მეორე ადგილას შრომითი მიგრაცია დგას, მესამე ადგილს ტერიტორიული მთლიანობა იკავებს და ყველაზე დაბალი პროცენტით, ბოლო პრობლემად ოჯახური ძალადობა სახელდება.**

თუმცა, თუ გავყვებით სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც ყოველი მეორე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია, ადვილი წარმოსადგენია, რომ ის ქალბატონები, რომლებმაც პრიორიტეტულ პრობლემებს შორის ძალადობა ბოლო ადგილზე დაასახელეს, თავად ამ პრობლემას პერიოდულად ან მუდმივად განიცდიან. შესაბამისად, მისი უკანა პლანზე გადაწევა და ჩრდილში მოქცევა პრობლემის პრობლემაა, როდესაც ადამიანი ვერ თუ არ აცნობიერებს იმას, რომ ესა თუ ის ქცევა მის მიმართ ძალადობაა, რაც მის თავმოყვარეობას ლახავს, ართმევს პიროვნულ თავისუფლებას, ზღუდავს მის ინდივიდუალობას, აქცევს დაქვემდებარებულად, ან უარეს შემთხვევაში – მსხვერპლად. ყველა ეს ქცევა ერთიანობაში ქმნის ძალადობას, რაც უფრო ხშირად და მწვავე ფორმებით ოჯახში ვლინდება.

ოჯახური ძალადობა გლობალური პრობლემაა და მსოფლიოს ნებისმიერ ოჯახში არსებობს, მოიცავს საზოგადოების ყველა ფენა. ოჯახური ძალადობა ფარულ და განგრძობით ხასიათს ატარებს და საკმაოდ სპეციფიურია.

ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია „ფონდი სოხუმი“-ს ფსიქოლოგი **მანანა გოცირიძე**, რომელსაც ოჯახური ძალადობის მიმართულებით მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს, ამბობს: „მცდარია მოსაზრება, თითქოს ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმარს შორის არსებული კონფლიქტების ნიადაგზე წარმოიშობა, მას გამოვლინების გაცილებით ფართო არეალი აქვს. ძალადობა შეიძლება იყოს სიტყვიერი, ფიზიკური, მორალური, ეკონომიკური. როდესაც დაბალი ეკონომიკური ფონის გამო დიდია მიგრაციის მაჩვენებელი, შესაბამისად, შემდგარი ოჯახების პრობლემაც მწვავედ დგას, შვილები იზრდებიან მშობლებისგან შორს, სოციალური ქსელები ცივია და მათი საშუალებით დამყარებული კონტაქტი მშობელთან შვილს ბევრს ვერაფერს აძლევს, აკლია ყველაზე მთავარი – სითბო საკუთარი მშობლებისგან და ეს დეფიციტი მას ხშირ შემთხვევაში აგრესიულ პიროვნებად აყალიბებს.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## ყველასთვის ნაცნობი უცნობი



იხილეთ მე-6 გვერდზე

## ისტორია და ხარისხი – ქართული ღვინის მთავარი ფოკუსი

იხილეთ მე-7 გვერდზე



სკანვორდი – გვ. 8 კროსვორდი – გვ. 8

## სამოქალაქო პროტესტი და ქალის გამოყენება: როდის რა გავამართლოთ?

იხილეთ მე-2 გვერდზე

## რატომ ეწირება 33 წლის ნათელა ასანიძის სიცოცხლე მაცივარს და სარეცხის მანქანას?

იხილეთ მე-4 გვერდზე

## ბრალდებული შეურაცხადობის შემთხვევაში, იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას დაექვემდებარება

იხილეთ მე-7 გვერდზე

## მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი უჩვეულო აეროპორტების ნუსხაში მოხვდა

იხილეთ მე-4 გვერდზე

## სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე


ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.


PSnews.ge

ISSN 1987-7056

# სამოქალაქო პროტესტი და ძალის გამოყენება: როდის რა გავამართლოთ?

**ერთი შეხედვით, უკრაინის მოვლენების მიმართ საქართველოში თითქმის კონსენსუსია: გვინდა ევროპაზე ორიენტირებული უკრაინა, სოლიდარობა გამოვუცხადეთ ევრომაიდნის მოთხოვნებს, გაგვეხარდა მისი გამარჯვება და, ცხადია, ვგმობთ რუსეთის აგრესიას ყირიმში. სხვადასხვა განცხადების ტონალობა განსხვავებულია (და ამ განსხვავებას მნიშვნელობა აქვს), მაგრამ ძირითად პრინციპებზე ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის კამათი არ არის.**



ოღონდ საქართველო საქართველო არ იქნებოდა, ეს მოვლენები მაინც რომ არ გამხდარიყო პარტიული ბრძოლის ასპარეზი. როცა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი ევრომაიდნის პროტესტს, მათ მაშინვე დასწამეს ორმაგი სტანდარტი: თქვენ არ იყავით, 2007 წლის 7 ნოემბრის და 2009 წლის 26 მაისის აქციები რომ დაარბიეთო?

პოლიტიკოსები დიდი ხანია შემჩნეულები არიან ორმაგი სტანდარტების გამოყენებაში. გადამწყვეტი არ არის, დაბრალდება თუ არა ეს ცოდვა „ნაციონალებს“ ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც. მთავარია კრიტერიუმი: როდის უნდა დავუჭიროთ მხარი მოპროტესტე მასებს, თუნდაც ისინი კანონს არღვევდნენ, და როდისაა სწორი, მთავრობამ მათ ძალა დაუპირისპიროს.

მე თავის დროზე ბევრი პროგრესული ინტელექტუალი გავაბრაზე იმით, რომ 26 მაისის აქციის ძალადობრივი დაშლა „გავაპრავე“ (მათ შორის ტაბულას ფურცლებზე), ამიტომ, ალბათ, ბუნებრივია, უკრაინის მოვლენების ფონზე ისევ დავუბრუნდე ამ საკითხს. ჯერ მოკლედ გავიმეორებ ჩემს პირად პოზიციას ხსენებული მოვლენების მიმართ. საქართველოს ხელისუფლების 7 ნოემბრის გადაწყვეტილება, ძალით დაეშალა საპროტესტო დემონსტრაცია, იყო პოლიტიკურად მცდარი (თუმცა დემონსტრანტებმა ნამდვილად მისცეს მას ძალის გამოყენების ფორმალური საფუძველი); მით უმეტეს, გამართლებას ვერ მოუძებნი ტელეკომპანია „იმედის“ მიმართ სადამსჯელო აქციას. პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომა ამ შეცდომების ირიბი აღიარება იყო. 26 მაისს საპროტესტო აქციის ძალის გამოყენებით დაშლა ყველა მოსაზრებით სწორი და აუცილებელიც იყო, თუმცა დაშლის პროცესში პოლიციამ ძალას გადააჭარბა. (არ შემიძლია არ დავამატო: რასაც არ უნდა ვფიქრობდეთ დაშლის მეთოდებზე, ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის ციხეში გამომწყვდევა თვითნებური, პოლიტიკურად მოტივირებული „სამართლის“ ქრესტომათიური მაგალითია).

ბოლო ხანების უკრაინული მაგალითიც არ არის ცალსახა. უკრაინელებს სრული უფლება ჰქონდათ, მასობრივი აქციებით გაეპროტესტებინათ იანუკოვიჩის მოულოდნელი უარი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. მაგრამ მოპროტესტეების მიერ ძალადობრივი მეთოდების გამოყენება, შემდეგ კი ცუდი, მაგრამ ლეგიტიმური პრეზიდენტის მასობრივი აქციების გზით გადაყენება სახიფათო პრეცედენტს უქმნის უკრაინას. გარდა ამისა, თუმცა ყირიმში რუსეთის შეჭრას ნულოვანი გამართლება აქვს, პუტინსაც კი სჭირდებოდა რაღაც საბაბი და ასეთად უკრაინაში კონსტიტუციური პროცესების შეფერხება გამოიყენა.

ამავე დროს, ვითარება რადიკალების გააქტიურებამდე თვით იანუკოვიჩმა მიიყვანა. იმ მომენტისთვის, როდესაც ძალადობა ხალხისგან წამოვიდა, მოპროტესტეებს ჰქონდათ სერიოზული არგუმენტი, რომ სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, ხოლო ხელისუფლებას უკვე დაკარგული ჰქონდა ის მორალური და პოლიტიკური კაპიტალი, რაც კანონდამრღვევი მასების წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ლეგიტიმურს ხდის.

რის საფუძველზე ვანაწილებ ამ შეფასებებს: ეს სწორია, ეს კი – არა? შესაძლებელია, საერთოდ, ობიექტური საზომის ქონა? იქნებ შევეგუოთ, რომ პოლიტიკაში ყოველთვის ორმაგი სტანდარტები იბატონებს და გულახდილად ვთქვათ: ჩვენები ყოველთვის მართლები არიან, „ისინიძ კი ტყუიან? მთავარია, „ჩვენები“ შევარჩიოთ სწორად: თუ ისტორიულად სამართლიანი ან პროგრესული საქმის მხარეზე ხარ, ყველა მეთოდი გამართლებულია.

### პროგრესულები და რეგრესულები

ეს უკანასკნელი მიდგომა გამოიყენა „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა, როდესაც ჟურნალისტის შეკითხვას (26 მაისის დამრბევები რა სინდისით უჭერთო მხარს უკრაინელების გამოსვლებს) გაღიზიანებული ტონით უპასუხა: როგორ შეიძლება ამ ორი მოვლენის შედარება, 26 მაისს თბილისში პროდასავლური მთავრობა ებრძოდა პრორუსულ ძალებს, მაშინ როდესაც კიევში პროდასავლურ მოთხოვნებს პრორუსული მთავრობა უპირისპირდება.

დემოკრატიის მომხრისგან ასეთი პასუხი მიუღებელია. დემოკრატიაში ყველა ადამიანს აქვს გამოხატვის უფლება, მათ შორის მასობრივი მანიფესტაციების ფორმით. ცხადია, რომ მიტინგის ორგანიზატორი ნინო ბურჯანაძე ამ დროისთვის რუსეთის კარტს თამაშობდა, თუმცა ამ კონკრეტულ მიტინგზე ღიად პრორუსულ ლოზუნგებს არ აყენებდა. მაგრამ ვთქვათ და შეიკრებონ ადამიანები, ვისაც სწამს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა საქართველოსთვისაც ტრაგედია იყო, ახლა კი ევრაზიულ კავშირში შესვლას უნდა ვესწრაფვოდეთ NATO-ს და ევროკავშირის ნაცვლად – მათ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, ეს აზრი საჯაროდ დაიცვან?

ზოგადად, ამაზეც შეიძლება ვიდავოთ. დემოკრატიულ ქვეყნებს სხვადასხვა დროს აუკრძალავთ ნაცისტური ან კომუნისტური იდეოლოგიის აშკარა პროპაგანდა. ეს გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავდა, მაგრამ დემოკრატიის ფუნდამენტური ინსტიტუტების დაცვით მართლდებოდა. განსაკუთრებით, 2008 წლის აგრესიის შემდეგ, ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღიად პრორუსული პოზიცია, თუნდაც ევრაზიულ კავშირში შესვლის ადვოკატირება, ქვეყნისთვის მტრული ქმედების ნიშნებს შეიცავს. მეორე მხრივ, ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ ევრაზიულ კავშირში შესული საქართველო გაცილებით ნაკლებ დემოკრატიული იქნება, ვიდრე ევროკავშირისა და NATO-ს წევრი, ან, თუნდაც, ამ ორგანიზაციებისკენ მსწრაფი. რატომ არ შეიძლება დროებით შეუზღუდო გამოხატვის თავისუფლება აშკარად პრორუსულ ძალებს, თუ ეს საბოლოოდ ისევ დემოკრატიის გამარჯვებას წაადგება?

მაგრამ საქართველო ამ გზით არ წასულა და, ჩემი აზრით, არც უნდა წასულიყო. ანტიდემოკრატიული იდეოლოგიების საწინააღმდეგოდ მიღებული შეზღუდვები, როგორც წესი, არაეფექტურია, ხელისუფლებას კი მათი ბოროტად გამოყენების საშუალებას აძლევს. ვერც დემოკრატიის პრინციპებიდან და ვერც საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე ვერ გავყოფთ მიტინგებს იმის მიხედვით, მოგვწონს თუ არა მათი ლოზუნგები თუ ორგანიზატორები.

### ხალხი ყოველთვის მართალია?

თანამედროვე დემოკრატია ისტორიულად ემყარება პრინციპს, რომელიც პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა ჩამოაყალიბა: ხალხს უფლება აქვს, აუჯანყდეს ტირანულ ხელისუფლებას. ამით მან „გააპრავა“ ინგლისის დიადი რევოლუცია, შემდეგ კი ეს დებულება ამერიკის, საფრანგეთის და მრავალი სხვა რევოლუციის თუ გადატრიალების იდეოლოგიურ საფუძვლად გამოიყენეს (მათ შორის, პრეზიდენტ გამსახურდიას წინააღმდეგ ჯანყის გასამართლებლად). ოღონდ ლოკმა ისიც დაამატა, რომ ასეთი რადიკალური მეთოდის გამოყენება მხოლოდ მაშინაა გამართლებული, თუ ძალაუფლების ბოროტი გამოყენება სისტემური ხდება. რაღაცაზე შარს ნებისმიერ მთავრობას მოსდებ, მაგრამ სულ რევოლუციებში ხომ არ ვიქნებით? მაშ, სად გადის ზღვარი? სწორედ აქედან ამოდიან „აჯანყების უფლების“ კრიტიკოსები: ვინ და როგორ უნდა განსაზღვროს, საკმარისად დააშავა თუ არა ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ, რომ მისი რევოლუციური მეთოდით გადაყენება გავამართლოთ?

ხალხში დაგროვილი აღშფოთება ხომ არ გამოვიყენოთ კრიტერიუმად? მაგრამ ამ აღშფოთებით მანიპულირებას შეიძლება ახდენდნენ იდეოლოგიური ფანატიკოსები ან პოლიტიკური ავანტიურისტები, რომლებიც, ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ხალხის სახელით კიდევ უფრო სასტიკ რეპრესიებს განახორციელებენ.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

**მთავარი რედაქტორი:**
ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:**
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

## ცირა ყურაშვილის პოეტური მოგონება „ასფალტის ყვავილებიდან“ — „სამოთხის სარკმლამდე“

**ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“ შეუერთდა „მოხეტიალე წიგნების“ ეპიდემიის გამავრცელებლებს და ქუთაისის ქუჩებში სამოგზაუროდ გაუშვა ჩვენივე თანაქალაქელის, ნიჭიერი და ულამაზესი სულის მქონე პოეტის, ცირა ყურაშვილის ახალი კრებული „სამოთხის სარკმელი“.**
**ამ ფაქტს სოციალურ ქსელში, „ფეისბუქგვერდზე“ გამოეხმაურა თავად ავტორი და თავისი ცხოვრების ძალიან საინტერესო ეპიზოდი გაიხსენა, წლების წინ თუ როგორ მიმოაბნია ქუთაისის ქუჩებში, ახალდაქორწინებულ მეუღლესთან, პოეტ გივი ადრეულთან ერთად, თავისი ლექსების კრებული „ასფალტის ყვავილები“...**

**გთავაზობთ ცირა ყურაშვილის გამოხმაურებას გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ სტატიასთან დაკავშირებით:**

„P.S.“-ის რედაქციას ჩემი ლექსების კრებული „სამოთხის სარკმელი“ სახეტიალოდ გაუშვია. რომელი ავტორი იტყვის, რომ ყურადღება არ სიამოვნებს? მეც ვერ ვიტყვი. ამ ამბავმა მიბიძგა, ერთი პატარა მოგონება გამეცოცხლებინა, რომელიც ამ დღეებში გამახსენდა, მაგრამ ჩაწერა, როგორც მჩვევია, დამეზარა.

ძველი ამბავია, 80-იანი წლების ბოლო, ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მოვდივართ მე და გივი ადრეული, ქალაქის ცენტრიდან შინ ვბრუნდებით. გივი ნასვამია, რომ იტყვიან, ძლივს გამოვწიწკნე ხელიდან პოეტებს სამეგობრო სუფრაზე, ფეხი ეშლება მხოლოდ, მეტი არაფერი. ხელით მოგვაქვს ჩემი ლექსების კრებულის „ასფალტის ყვავილების“ მძიმე შეკვრა, რომელიც ჟურნალ „განთიადში“ გვქონდა დატოვებული, თანამშრომელს მოსწყინდა ეს ზედმეტი ბარგი და გადავწყვიტეთ თავიდან მოგვეშორებინა მისთვის.




ვისაც ახსოვს ეს პატარა, რვეულივით თხელი და უხარისხო გამოცემა, დამეთანხმება, რომ მსგავსი პოლიგრაფიული კოშმარი დღეს წარმოუდგენელია. არადა, უზღვავი ტირაჟია — 5 ათასი ცალი, ჩემი დედამთილის ნაშრომ-ნასიმწარები ფულით გამოცემული და რა სათავსო აუვა, სად უნდა წაიღო, სად უნდა დაატიო.

რა არის ახალგაზრდობა,სად გვქონდა ტვინი, ამ წიგნს რომ ვცემდით, ბინის ფულს დავუმატებდით, ბინას ვიყიდდით ოპერასთან, რასაც მაშინ მიჩუმათებით და რეალურად, სიმბოლურ ფასად გვთავაზობდნენ, როგორც ახლადდაქორწინებულ პოეტებს. თავს იმით ვიმშვიდებ, კიდევ კარგი მე არ მომინდომებია, მახსოვს, გივის სურვილი იყო, ეს წიგნი გამოსულიყო, არ კი გვიფიქრია, რად გვინდოდა, სად უნდა წაგვეღო ამდენი მაკულატურა? და მოვდივართ ავტომშენებლის ქუჩაზე, ღამეა, მოახია გივიმ შეკვრას პირი და დაიწყო წიგნების ბნევა ქუჩაში, თან მეუბნება — გათენდება და შენი მკითხველიც სტარტზე დადგება. აბნია და აბნია გზაში, შინ მსუბუქად მივედით.

მერე რამდენიმე ადამიანმა მითხრა, შენი ლექსების კრებული „ასფალტის ყვავილები“ მაქვსო. მე არ მიჩუქნია, ალბათ, იმ დილის სიურპრიზი იყო, ჩვენი ხეტიალის ნაყოფი.“

**ცირა ყურაშვილი**

**P.S. ჩვენ კი კვლავ შეგახსენებთ, რომ:**
ქუთაისის ქუჩებში ხეტიალი, სხვა წიგნებთან ერთად, უკვე დაიწყო ცირა ყურაშვილის „სამოთხის სარკმელმა“.

წიგნს უკვე გამოუჩნდა პირველი მპოვნელი, შინისკენ მიმავალი ლილე ფხაკაძის სახით, რომელმაც დიდი სიამოვნებით დაიმგზავრა მოხეტიალე წიგნი.

ბედნიერ მოგზაურობას ვუსურვებთ „სამოთხის სარკმელს“ იმ იმედით, რომ იქნებ, როცა მოგზაურობით დაიღლება, ისევ რედაქციაში დაგვიბრუნდება...

# საუბრები უსტრატეგიო ქალაქის სტრატეგიაზე

**პარლამენტის ქუთაისში დარჩენა-არდარჩენის საკითხი კვლავ დაპირისპირების მიზეზი ხდება.**
**ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის, შოთა მურღულიას განცხადებას იმის თაობაზე, რომ ქუთაისმა საპარლამენტო ქალაქად „ვერ გაამართლა“, ოპოზიციამ პარლამენტთან გამართული ბრიფინგით უპასუხა.**


შოთა მურღულია


გია თევდორაძე

საპარლამენტო უმცირესობის წევრმა გია თევდორაძემ ქუთაისის მმშ-ს განცხადებას უპასუხისმგებლო უწოდა. როგორც თევდორაძემ აღნიშნა, ქალაქის არცერთ თავს არასოდეს ასეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია ქუთაისისთვის, როგორც ეს შოთა მურღულიამ გააკეთა.

„ეს არის უპასუხისმგებლო და სამარცხვინო განცხადება. არავის ასეთი შეურაცხყოფა არ მიუყენებია საკუთარი ქალაქის სტატუსისთვის, როგორც ეს მურღულიამ გააკეთა. ის მდგომარეობა, რაც დღეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზეა, კარგად ასახავს, რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას პარლამენტთან მიმართებაში, რომელიც მდებარეობს ქუთაისში. „ნაციონალური მოძრაობის“ შემდეგ აგური აგურს არ დადებია და არაფერი გაკეთებულა აქ. ამიტომ მურღულიას განცხადება არის უპასუხისმგებლო და ლოგიკას მოკლებული, თუმცა — მიზანმიმართული იმ სამარცხვინო კამპანიის მხარდასაჭერად, თითქოს ქუთაისმა საპარლამენტო ქალაქად ვერ გაამართლა. სამწუხაროა, რომ პარტიული ერთგულების დასამტკიცებლად მურღულია ქუთაისის განვითარებაზე ამბობს უარს და ნაცვლად იმისა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ქუთაისის გასავითარებლად პარლამენტის აქ დატოვება მოსთხოვოს, თავად აღნიშნავს, რომ პარლამენტის ადგილი ქუთაისში არ არის,“ — ამბობს გია თევდორაძე.

თევდორაძემ მურღულია საჯაროდ დებატებში გამოიწვია და ქუთაისის თავისგან თანხმობაც მიიღო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ თევდორაძეს აქვს სურვილი, 9 წლის განმავლობაში მოუგვარებელ და დაუსრულებელ პრობლემებზე პირდაპირ ეთერში ისაუბროს.

ამავდროულად, მურღულიამ საპარლამენტო უმცირესობის წევრი გია თევდორაძე სიცრუის ტირაჟირებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, „ნაციონალი“ თევდორაძის მიერ გაკეთებული განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან მას არასოდეს უთქვამს, რომ პარლამენტი ქუთაისიდან უნდა გადავიდეს.

„ქუთაისში ჩამოსვლის დღიდან აღვნიშნავ, რომ პარლამენტი ქუთაისის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია. ასევე მიმაჩნია, რომ ის უპრეცედენტოდ დიდი თანხა — 350 მილიონი ლარი — რაც პარლამენტის მშენებლობისთვის დაიხარჯა, ტყუილად არ უნდა დაიკარგოს და პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს,“ — ამბობს შოთა მურღულია.

ქუთაისის ყოფილი მერი გია თევდორაძე ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმასაც გამოეხმაურა. თევდორაძის განცხადებით, ეს არის გეგმა — გეგმისთვის და შეხვედრა — შეხვედრისთვის, რაც კრახისთვის არის განწირული.

„არცთუ მწირი გამოცდილების გამო განვაცხადებ, რომ ქალაქს უნდა გააჩნდეს სტრატეგიული განვითარების გეგმა. ამ გეგმაზე მუშაობა ჩვენი მმართველობის პერიოდშიც მიმდინარეობდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს უნდა იყოს ძლიერი დოკუმენტი. მაგრამ არც ერთ გეგმას არ შეუძლია განავითაროს ქუთაისი და მსგავსი ტიპის ქალაქები, თუ არ იქნება ცენტრალური ხელისუფლების ნება და გარკვეული ხელოვნური ბიძგი, როგორიც არის ადმინისტრაციული აქცენტის გადმოტანა სხვადასხვა ქალაქებში. სამწუხაროდ, პარლამენტის გადატანასთან დაკავშირებით ხელისუფლების აზრსმოკლებული, რიტორიკული განცხადებების გამო ოთხი ხელმოწერილი პროექტი შეჩერდა ქუთაისში, რადგან არცერთი ინვესტორი არ ჩადებს თანხას იმ ქალაქში, რომლის მომავალიც გაურკვეველია,“ — აცხადებს გია თევდორაძე.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი შოთა მურღულიაც თვლის, რომ ქალაქს აუცილებლად უნდა გააჩნდეს განვითარების გრძელვადიანი გეგმა, რომლის შემუშავების პროცესშიც ფართო საზოგადოების ჩართულობა ხდება. მისთვის გაურკვეველია, რატომ არის ამ თემის გარშემო ასეთი აჟიოტაჟი.

„ეს არის ქალაქგანვითარების გეგმა, რომელიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ქალაქს, რატომ შეიქმნა ის ასეთი აჟიოტაჟის მიზეზი, გაურკვეველია, მაგრამ, „ნაციონალურ მოძრაობას“ მხოლოდ პრობლემის გარშემო აჟიოტაჟის შექმნა სურს და არა პრობლემის მოგვარებაში მონაწილეობა, რისი კარგი მაგალითიც არის მერიის მიერ სოციალურად დაუცველთათვის 300 000 ლარის გამოყოფა, რასაც საკრებულოს „ნაციონალმა“ წევრებმა მხარი არ დაუჭირეს, ამიტომ ამ ადამიანებთან კონსტრუქციული დიალოგი შეუძლებელია,“ — ამბობს ის.

შეგახსენებთ, რომ ქუთაისის 2015-2017 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მერის მოვალეობის შემსრულებელი შეხვედრებს სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან მართავს.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

# საჩხერეა თუ სასკვერე?!



**საჩხერეში ღიად საუბრობენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ინგა ზაბახიძისა და გამგებლის, ამირან ნოზაძის დაპირისპირებაზე. დაპირისპირების საფუძველი ამ შემთხვევაში საჩხერის სკვერების საკითხია.**

ინგა ზაბახიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: „საჩხერეში რამდენიმე პატარა სკვერია: აკაკი წერეთლის, 9 აპრილის, ბათუმის სახელობის. სკვერები მცირე ფართობისაა და ადგილობრივ მოსახლეობას ის არ ჰყოფნის. არსებობს კიდევ მოსახლეობის ინიციატივით შექმნილი მცირე სკვერები, მაგრამ მათ არ აქვთ რეკრეაციული დანიშნულება და ვერც ქალაქის იერსახეს განსაზღვრავენ. ვფიქრობ, რომ მისასალმებელია მუხრან მაჭავარიანის სახელობის სკვერის გაშენება. ამით საჩხერეში იქმნება კიდევ ერთი მწვანე კუნძული, რომელიც დიდ პატივს მიაგებს მუხრანის ხსოვნას და ამასთანავე, ჩატარდება მასშტაბური რეკონსტრუქცია მერაბ კოსტავას სკვერშიც.

საჩხერისთვის მნიშვნელოვანია გამწვანების საკითხი, საკრებულომ შექმნა აიპ „ზურმუხტი“, რომელიც ქალაქის გამწვანებაზე იზრუნებს. სვანეთიდან ველოდებით წიწვოვნებს, რომლებიც სავანის გადმოსახვევიდან დაირგვება, ბათუმიდან ჩამოვიტანთ პალმებს, ე.წ. „კრუგებზე“ გაშენდება გვიანობამდე მოყვავილე მცენარეები. საჩხერლებს ახსოვთ, რომ ღამით ინთებოდა „აკაკის თავი“, ახლა მისი რეაბილიტაციაც საჭიროა და გამოყოფილია 53 ათასი ლარი. 107 ათასი ლარი გაიხარჯება მუხრან მაჭავარიანის სახელობის სკვერის მოსაწყობად, მათ შორის, ბიუსტისათვის — 47 ათასი ლარი, ხოლო მერაბ კოსტავას სკვერისათვის 253 ათასი, რადგან ამ სკვერში გასაკეთებელია შადრევანი, განათება, დეკორატიული კედელი, პატარა კაფე.“

გამგებელი ამირან ნოზაძე აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში უამრავი სოციალური პრობლემაა და არ ღირს ასეთ საკითხებზე ორიენტირება. მოსახლეობის აზრი სკვერების შესახებ ორად იყოფა, ნაწილს მიაჩნია, რომ საჩხერეში მათი არსებობა აუცილებელია, ზოგიერთის აზრით კი ჯერ ამ საკითხებზე ფულის დახარჯვა ადრეა.

ერთმა ქალბატონმა, რომელმაც სახელისა და გვარის გამჟღავნება არ ისურვა, თქვა: „საკრებულოსა და გამგეობას სადარდელი, ალბათ, სხვა არაფერი აქვთ. სარვამარტოდ პრემიები დაირიგეს ქალიან-კაციანად და, მგონი, სააღდგომოდ ცალკე აპირებენ კიდევ. ნამდვილად მოსწრებაზე არიან, მაგათი უმეტესობა ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თანამდებობებს ვერ შეინარჩუნებენ და ჩქარობენ, ეგებ დროულად მიიტანონ ბიუჯეტიდან ჩვენი ფული სახლებში, ვითომც ხელფასები აკლდეთ!“

(სარვამარტოდ საჩხერის საკრებულომ და გამგეობამ პრემიის სახით ასი ათას ლარზე მეტი გასცა. ავტ.).

სკვერების გაშენების მომხრეებს მოწინააღმდეგეები სკვეროფილებს ეძახიან, მოწინააღმდეგეებს – სკვეროფობებს. მართალია, ორივე ირონიული სახელწოდებაა, თუმცა საჩხერეა თუ სასკვერე? — კითხულობენ საჩხერის საკრებულოს ოპონენტები.

**როლანდ ხოჯანაშვილი**

## ქუთაისის ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად გოგი ჭიჭინაძე რჩება

აღნიშნულის შესახებ 10 აპრილს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე მარგიშვილმა, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ და ბალანჩივაძეების ოპერის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა გოგი ჭიჭინაძემ ერთობლივ ბრიფინგზე ისაუბრეს.

როგორც ჭიჭინაძემ აღნიშნა, ის ოპერის თეატრში შემოქმედებით საქმიანობას აგრძელებს.

ჭიჭინაძემ ოპერაში არსებულ პრობლემებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, ასევე კულტურის სამინისტროს და ქუთაისის მერიას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა.

„მესმის, ერთბაშად ყველაფერი იდეალურად ვერ იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე, როდესაც ელემანტარული სკამები არ არის ოპერაში, რომ ორკესტრის წევრებმა რეპეტიცია გაიარონ, რთულია ისაუბრო მასშტაბურ პროექტებზე. ჩვენ გვქონდა დაპირებები ფინანსური კუთხით, რაც ამ ეტეპზე არ გამოვიდა. მიუხედავად ამისა, მე ვრჩები ოპერაში და ვაგრძელებ შემოქმედებით საქმიანობას. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, ქუთაისის მერიას და ოპერის თითოეულ თანამშრომელს, რომელთა გულრწფელ მხარდაჭერას ვგრძნობ,“ — განაცხადა ჭიჭინაძემ.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ოპერას დამატებით 25000 ლარი დაერიცხება, ასევე ქუთაისის ოპერა პროგრამულ დაფინანსებას კულტურის სამინისტროსგანაც მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ გოგი ჭიჭინაძემ რამდენიმე თვის წინ ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტის დატოვების სურვილი სოციალური ქსელით გაახმაურა.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

psnews.ge

# რატომ ეწირება 33 წლის ნათელა ასანიძის სიცოცხლე მაცივარს და სარეცხის მანქანას?



ქუთაისში, სულხან-საბას 83 ნომერში მცხოვრები 33 წლის ნათელა ასანიძე დახმარებას ითხოვს. 33 წლის ასანიძეს ორივე თირკმელი დახურული აქვს და გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. 6-სულიან ოჯახს საარსებო მინიმუმიც არ აქვს. საჭირო ოპერაციის ღირებულება კი 80 000 ლარია, ისიც დონორის გარეშე.

როგორც ნათელა ასანიძის დედამთილი ივეტა ნამიჭეიშვილი აცხადებს, მის რძალს თირკმლის პრობლემა სამი წლის წინ დაეწყო. მას შემდეგ არაერთხელ მიმართეს ადგილობრივ თუ ცენტრალურ ხელისუფლებას, მაგრამ უშედეგოდ.

ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გუბაზ სანიკიძემ კი მხოლოდ იმის შესახებ აცნობა, რომ მის განცხადებას განიხილავდნენ.

ოჯახმა დახმარება ვერც ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურისგან მიიღო.

„ხუთჯერ მყავდა ავადმყოფი მიყვანილი მერიის სოციალური მომსახურების საამსახურში, მაგრამ ასლარიანი დახმარებაც კი ვერ გაიმეტეს ჩვენთვის. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა. დიალიზზეა მიერთებული. ოპერაციას საჭიროებს, მაგრამ არანაირი შემოსავალი არ გვაქვს. მის შვილს კინაღამ ჩააკვდა ხელში. გვეხვეწება, ნუ მომკლავთ, მიშველეთ რამეო, მაგრამ ვერაფერს ვშველით. ჩემმა შვილმა სამუშაოც კი ვერ იშოვა, რომ პურის ფული შემოიტანოს სახლში. საზღვარგარეთ იყო წასული სამუშაოდ და იქაც მოატყუეს. ასეთ მდგომარეობაში როგორ უნდა ვიყოთ?“ — განაცხადა **ივეტა ნამიჭეიშვილმა.**

ქუთაისის მერიის სოციალურ საკითხთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამსახურის უფროსის, ზურაბ მარგველაშვილის განცხადებით, აღნიშნულ პიროვნებას მისი სამსახურისთვის ამ დრომდე არ მიუმართავს. იმ შემთხვევაში, თუკი ოჯახი შესაბამის სამსახურს განცხადებით მიმართავს და ფორმა 100-ს მიიტანს, ნათელა ასანიძე ყოველთვიურად 100 ლარს და ასევე 100 ლარის მედიკამენტებს მიიღებს.

ხელისუფლების მხრიდან ნამიჭეიშვილების მიმართ გამოჩენილ უყურადღებობას აპროტესტებს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაცია. პარტიის წარმომადგენლის, ზვიად წაქაძის განცხადებით, მერიამ პრემიების დარიგებაზე უარი უნდა თქვას და მსგავს გასაჭირში მყოფ ადამიანებს დაეხმაროს.

„მაქვს ინფორმაცია, რომ მერიის თანამშრომლები სააღდგომოდ პრემიებს მიიღებენ, რისი საერთო რაოდენობაც, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარია. ამ დროს კი ამ ქალაქის მოსახლეობა ასეთ მდგომარეობაში ცხოვრობს. სამწუხაროა, რომ საჯარო მოხელეთა პირად კეთილდღეობაზე ზრუნვას ეწირებიან რიგითი ადამიანები. მოვუწოდებ მერის მოვალეობის შემსრულებელს, უარი თქვას პრემიების გაცემაზე და ადამიანებს სიცოცხლის შენარჩუნებაში დაეხმაროს,“ — განაცხადა **ზვიად წაქაძემ.**

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, მიუხედავად მძიმე მდგომარეობისა, 6 -სულიანი ოჯახი, სადაც ორი მცირეწლოვანია სოციალური დახმარებითაც ვერ სარგებლობს. ამის მიზეზი, როგორც სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის ცენტრში განუცხადეს, ოჯახში არსებული მაცივარი და სარეცხის მანქანა გახდა.

რამდენად არის აღნიშნული ტექნიკა მიზეზი იმისა, რომ ოჯახმა სოციალური დახმარება ვერ მიიღოს, ამის შესახებ სოციალური მომხახურების სააგენტოს ქუთაისის ცენტრის ხელმძღვანელს ხათუნა ცანავას ვესაუბრეთ.

როგორც ცანავამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ნამიჭეიშვილების ოჯახმა სოციალური მომსახურების სააგენტოს 2011 წელსაც მიმართა. განმეორებით მიმართვის დროს ოჯახის შემოსავალი გაზრდილი იყო.

„პირველი მომართვის შემთხვევაში ოჯახის ოთხი წევრიდან არც ერთი არ სარგებლობდა სპეციალური სტატუსით. რაც შეეხება მეორე მომართვას, ოჯახში არსებული მონაცემებით, სამი წევრი იყო, რომელთაგანაც ერთ-ერთი სარგებლობდა სპეციალური სტატუსით, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულებას გულისხმობს. ამის გამო აღნიშნული პიროვნება მიმდინარე წლის იანვრიდან ყოველთვიურად 100 ლარს იღებს. შემდგომ ამისა, მეორე მიმართვის დროს გაზრდილი იყო ნამიჭეიშვილების ოჯახის შემოსავალი, თუკი ეს თანხა 2011 წელს თვეში 89 ლარს შეადგენდა, მიმდინარე მონაცემებით 250 ლარი ფიქსირდება, ასევე ამ წლების მანძილზე ოჯახს უფიქსირდება დამატებით ორი თანამედროვე ტიპის, არასაბჭოური წარმოების ხანგრძლივი მოხმარების ნივთი, ესენია: გაზის გამათბობელი და მაცივარი. ამიტომ ოჯახმა ვერ მიიღო დაბალი სარეიტინგო ქულა. იმ შემთხვევაში, თუკი ექნებათ კვლავ მომართვის სურვილი, მათ უნდა წარმოადგინონ ფორმა „ასი“, აგენტი განმეორებით მივა და სარეიტინგო ქულების ხელახალი გამოთვლა მოხდება,“ — განაცხადა **ხათუნა ცანავამ.**

**ნესტან ჩაგელიშვილი**

## მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი უჩვეულო აეროპორტების ნუსხაში მოხვდა

**რუსულმა პორტალმა novate.ru რუსეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში არსებული უჩვეულო აეროპორტების სია გამოაქვეყნა. სწორედ ამ სიაში მოხვდა მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტიც.**

აღსანიშნავია, რომ novate.ru -ს მიერ გამოქვეყნებულ ნუსხაში, სულ 8 აეროპორტია და აქედან პირველი სწორედ, რომ თამარ მეფის სახელობის აეროპორტია. მესტიის აეროპორტის ილუსტრაციებთან ერთად, საიტზე აეროპორტის შესახებ თითქმის ყველა ინფორმაციაა თავმოყრილი.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების განვითარების, ტურიზმის ხელშეწყობისა და საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების განვითარების მიზნით, მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი 2011 წელს ოფიციალურად გაიხსნა. აეროპორტი, რომელიც ზღვის დონიდან 1 400 მეტრზე მდებარეობს, რთული რელიეფის მიუხედავად, უსაფრთხო ფრენას უზრუნველყოფს. უსაფრთხოების გარანტი ის ტექნიკური აღჭურვილობაა, რომელიც ევროპელ სპეციალისტებთან თანამშრომლობით დამონტაჟდა.

აეროპორტს 1120 მეტრიანი ასაფრენი ბილიკი აქვს, რომელიც ამინდის მიუხედავად, მცირე ლაინერების მიღებას მთელი წლის განმავლობაში შეძლებს. აეროპორტს საკუთარი სანავიგაციო სისტემა და სრულიად ახალი შენობა აქვს. პროექტი მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან არქიტექტორს, მაიერს ეკუთვნის.

წყარო: BPI

# სამოქალაქო პროტესტი და ძალის გამოყენება: როდის რა გავამართლოთ?

**მე-2** გვერდიდან

საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული, ისტორიული გამოცდილება გვასწავლის: „რევოლუციის უფლების“ გამოყენებით მოსულ ლიდერებს არანაკლები ბოროტება ჩაუდენიათ, ვიდრე „ძველ“ მთავრობებს, ვის მიმართაც მრავალი სამართლიანი თუ გაზვიადებული პრეტენზია დაგროვილა. ესე იგი, ხალხის სახელით მოქმედი ექსტრემისტებისგან და ავანტიურისტებისგან ვიღაცამ უნდა დაგვიცვას. მაგრამ ვინ, თუ არა ისევ იმ არასრულყოფილმა მთავრობებმა? მივიღეთ ორი დებულება: (1) ხალხს აქვს უფლება, რეპრესიულ ხელისუფლებას აუჯანყდეს და ამ დროს კანონის ფარგლებს გაცდეს, და (2) ხელისუფლება მოვალეა, საზოგადოება დაიცვას მათგან, ვინც ხალხის თუნდაც სამართლიანი უკმაყოფილების გამოყენებით საფრთხეს უქმნის თავისუფლების და კანონიერების საფუძვლებს.

### პრინციპები და კონტექსტი

როგორ შევახამოთ ეს ორი პრინციპი? რაკი ადამიანი ბუნებით ზარმაცია და სიმარტივე უყვარს, ბევრს ურჩევნია, ერთი პრინციპი აირჩიოს და ბოლომდე გაჰყვეს. ზოგი ყოველთვის ხელისუფლების მხარესაა და თვლის, რომ ნებისმიერი „არეულობა“ ვიღაც ცუდი ადამიანების მოწყობილია კიდევ უფრო ცუდი ადამიანების დაკვეთით. სხვა, როგორც კი მოედანზე შეკრებილ გაბრაზებულ ხალხს დაინახავს, მას ჭეშმარიტების უზენაეს მატარებლად გამოაცხადებს და, რაც არ უნდა ქნას ამ ხალხმა, მის მიმართ ძალის გამოყენებას გმობს, როგორც დაუშვებელ „ძალადობასძ. მესამე ვარიანტი უკვე ვახსენეთ: პოლიტიკური საჭიროების მიხედვით ხან პირველ თეორიას გამოიყენებ, ხან მეორეს.

სამწუხაროდ, ხანდახან ჭეშმარიტება მარტივი არ არის. თუ თავისუფალი და ღირსეული ცხოვრება გინდა, ორივე დებულება უნდა აღიარო, ოღონდ კონტექსტის მიხედვით. ხანდახან ხელისუფლება არ ტოვებს თავისუფალი პოლიტიკური ქმედების სივრცეს და საზოგადოებას სხვა გზა არ რჩება, თუ არა კანონის ფარგლებს გასცდეს. მაგრამ რა ვუყოთ, თუ ცინიკოსი ან იდეალისტი ლიდერები და მათ აყოლილი მასები საფრთხეს უქმნიან ინსტიტუტებს, რომლებიც ყოველთვის არასრულყოფილია, მაგრამ თავისუფალი და ღირსეული ცხოვრების ერთადერთი გარანტიაა? ასეთ შემთხვევაში ხელისუფლებას ევალება, ამ ინსტიტუტების დასაცავად ძალა გამოიყენოს.

შეფასებას იცის ართულებს, რომ ძალის გამოყენება ტირანიის თუ ლეგიტიმური დემოკრატიული მთავრობის მიერ გარეგნულად შეიძლება ერთმანეთს ჰგავდეს: ორივეგან ჩანან ჩაფხუტიანი პოლიციელები, ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და ა.შ. მაგრამ ერთ შემთხვევაში ეს სწორია, მეორეში კი — არა. ძნელია, ხომ?

ხომ არ გვეცადა იმის ზუსტი კოდიფიკაცია, ანუ მკაფიო წესების შემუშავება, როდის და როგორ მოვიქცეთ ამ სახიფათო სასაზღვრო ზოლში თავისუფლებასა და კანონიერებას შორის? სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ზოგადი წესი კონკრეტულ გარემოებებს და დეტალებს ვერ ამოწურავს.

მიუხედავად ამისა, დემოკრატიულ სამყაროს, ანუ წარმოსახვით ერთობას იმ ადამიანებისა, ვისაც დემოკრატიის პრინციპები უღირს და ესმის, უმეტეს შემთხვევაში შეუძლია შეთანხმება, თუ რა შემთხვევაშია მხარდასაჭერი ჯანყი ფორმალურად ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ და როდისაა გამართლებული ძალის გამოყენება იმათ წინააღმდეგ, ვინც თავისი პოზიციის გამოხატვისას კანონის ფარგლებს სცდება.

პირველ შემთხვევაში ლოგიკა არსებითად იგივეა, რაც სამართლიანი ომის თეორიაში: ლეგიტიმური ხელისუფლების დაუმორჩილებლობა გამართლებულია მხოლოდ განსაკუთრებულ, უკიდურეს შემთხვევაში, თუ ყველა კანონიერი საშუალება ამოწურულია, ან თუ კანონი საერთოდ არ იძლევა თავისუფალი ქმედების საშუალებას. მხოლოდ იმიტომ, რომ ხელისუფლება ცუდია, კორუმპირებულია, შერჩევით სამართალს ეწევა, სიღარიბე ვერ აღმოფხვრა და ა. შ. მისი ძალით გაგდება არ შეიძლება: ეს მუდმივი ქაოსის და ანარქიის გზაა.

### ისევ უკრაინა და საქართველო

გამოვიყენოთ მაგალითები. 2003 წლის საქართველოში განსაკუთრებული ვითარება შექმნა გაყალბებულმა არჩევნებმა. უტყუარი მტკიცებულებებით დადგინდა: მოქალაქეებმა კანონიერი მეთოდებით „გაუშვეს“ მთავრობა, მან კი უარი თქვა წასვლაზე, ესე იგი, ხალხს მისი ძალით გაგდების გარდა სხვა გზა არ დაუტოვა. კორუმპირებული და უნიათო შევარდნაძის ხელისუფლება მანამდეც იყო, მაგრამ ეს რევოლუციური გადატრიალების გამართლებად არ გამოდგებოდა.

უკრაინაში, ევროკავშირთან ასოცირებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმით პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა უეცრად გადაუხვია ქვეყნის განვითარების სტრატეგიულ გზას, რომელსაც ქვეყანა წლების განმავლობაში ადგა და მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერდა. ისიც აშკარად ჩანდა, რომ ეს მოულოდნელი და ერთპიროვნული გადაწყვეტილება მან უცხო ქვეყნის ზეწოლით ან მოსყიდვით მიიღო. ამას მოჰყვა სრულიად ბუნებრივი პროტესტი, რის ფონზე მთავრობამ მიიღო ახალი რეპრესიული კანონმდებლობა, რითაც ცხადად აჩვენა, რომ მისი რუსეთზე ორიენტაცია გულისხმობდა არა მხოლოდ კონკრეტულ სავაჭრო რეჟიმს, არამედ უკრაინაში რუსული სტილის დიქტატურის დამყარებას. მაიდანზე შეკრებილი ხალხი ბოლო მიჯნა აღმოჩნდა ამ სცენარისგან დასაცავად. ამის შემდეგ პროცესები გავიდა კონსტიტუციური კალაპოტიდან, მაგრამ ამაზე პასუხისმგებელი ხელისუფლება იყო. აქაც იგივე შემთხვევაა: კორუმპირებული და არაეფექტური უკრაინის მთავრობა მანამდეც იყო, მაგრამ რადიკალური მეთოდების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულმა გარემოებებმა გაამართლა.

26 მაისს ამ შემთხვევებთან საერთო არაფერი აქვს. ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფი, რომელიც საზოგადოების მცირე ნაწილის განწყობას გამოხატავდა, რამდენიმე დღის განმავლობაში ატარებდა მიტინგებს, რომელთაც ხელს არავინ უშლიდა (და არც უნდა შეეშალა). მაინცდამაინც ამ დროს პროტესტის განსაკუთრებული მიზეზი არ არსებობდა: უბრალოდ, გაზაფხული მიტინგების დროა. იმით, რომ დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის ჩაშლა გადაწყვიტა და რუსთაველის პროსპექტის დროებით გათავისუფლებასაც კი არ დათანხმდა, ამ ჯგუფმა გამოწვევა გაუგზავნა არა მხოლოდ ხელისუფლებას, არამედ სახელმწიფოს. მისი აშკარა კავშირი ქვეყნის მიმართ მტრულად განწყობილ ძალასთან ზეიმის ჩაშლას დამატებით სიმბოლურ დატვირთვას სძენდა.

ამის შემდეგ, ხელისუფლებას სრული სამართლებრივი და მორალური უფლება, მეტიც, მოვალეობა გაუჩნდა, გამზირი ექსტრემისტებისგან გაეწმინდა. პოლიციას რომ თავისი მოვალეობის შესრულებისას მეტი პროფესიონალიზმი და თავშეკავება გამოეჩინა, სალაპარაკო საერთოდ არაფერი იქნებოდა.

ზოგადი, აბსტრაქტული კატეგორიებით გატაცება („ხალხი“, „ძალადობა“, „თვითგამოხატვა“ და ა.შ.) განუვითარებელი პოლიტიკური დისკურსის ნიშანია. მთავარია, ჩვენთვის საკვანძო პრინციპები კონკრეტულ კონტექსტს დავუკავშიროთ. რაციონალური კამათი მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება.

**გია ნოდია**
**tabula.ge**

# საქართველოში ყოველი მეორე ქალი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია

**პირველი** გვერდიდან



ასეთი შვილების მშობლები კი უმეტესად ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლნი არიან. ეს ნიშნავს იმას, როდესაც ოჯახის ერთი წევრი საზღვრებს გარეთ არაადამიანურად, ვირივით მუშაობს, მის კმაყოფაზე არის ოჯახის ყველა წევრი და ისინი „საშოვარზე“ წასულს უყურებენ როგორც „ფულის შოვნის მანქანას“.

ძალადობა არის ოჯახშიც და გარეთაც, როდესაც მძღოლი უშვერი სიტყვებით მგზავრებს არარსებულ სივრცეში „გადაიწიეს“ აიძულებს, როდესაც გვერდით მდგომი ფეხს გაბიჯებს და ბოდიშსაც კი არ გიხდის.

ძალადობაა სამსახურშიც, როდესაც პოზიციით შენზე მაღლა მდგომი თვლის, რომ შეუძლია, სურვილისამებრ გმართოს, დაგავალოს იმაზე მეტი, რაც რეალურად გევალება. ძალადობა მხოლოდ ფიზიკური არაა, ზოგჯერ სიტყვა გაცილებით დიდ დარტყმას აყენებს ადამიანის თავმოყვარეობას, თვითმყოფადობას და ღირსებას, ვიდრე ფიზიკური ზეწოლა. განა ეს არ არის ფსიქოლოგიური ძალადობა, როდესაც მამაკაცი ცოლს გამუდმებით ამადლის, რომ ის მისი „პატრონია“, ეუბნება: „შენ ვინ მოგიყვანდა ცოლად, მე რომ არა“, „რას გავხარ შე გასიებულო“, „თავში ტვინი არ გაქვს“ და ასე შემდეგ. ეს არის ფსიქოლოგიური ძალადობა და ადრესატის თვითშეფასების დაქვეითებისკენ არის მიმართული.

ძალადობა არ არის მხოლოდ ნაჯახით ცემა, ის ზოგჯერ „კეთილისმსურველი“ მშობლების შვილებთან ზედმეტი ჩარევითაც შეიძლება გამოვლინდეს, იქნება ეს პროფესიის არჩევისას თუ სხვა, როდესაც, მაგალითად, შვილის მოწოდება მუსიკოსობაა, მაგრამ დედ-მამას სურს, რომ მათი შვილი აუცილებლად ექიმი გამოვიდეს. ძალით გაკეთებულ არჩევანს ხშირ შემთხვევაში უაროფითი შედეგები მოაქვს და ადამიანი ვერ ახერხებს საკუთარი თავის რეალიზებას საზოგადოებაში.

ძალადობის პრობლემა ქვეყანაში საკმაოდ დიდი სიმწვავით დგას და ქალთა მომართვიანობაც გაზრდილია.“

ძალადობის შემთხვევები რომ მრავლადაა, ამაზე სტატისტიკაც მოწმობს, მაგრამ ძნელია, იპოვო ადამიანი, რომელიც ამ ყველაფერზე ღიად ისაუბრებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან მსხვერპლი ხომ თავის თავში უკვე გულისხმობს ადამიანს, ნაკლები გამბედაობით, ნაკლები ბრძოლის უნარით, შესაბამისად, პრობლემებზე ღიად საუბარი და ამით დაპირისპირება მოძალადესთან, მისთვის გადაულახავ პრობლემას წარმოადგენს.

ასეთ კატეგორიას მიეკუთვნება 22 წლის ნინო, რომელსაც სახელი პირობითად დავარქვით, რადგან საკუთარ ისტორიაზე საუბარი მხოლოდ საკუთარი სახელის და გვარის მითითების გარეშე ისურვა, უფრო გაბედა.

ნინოს მეუღლე მშობლებმა შეურჩიეს. 12 წლით უფროსი სასიძო ოჯახმა „დაკაცებული“ ასაკით და „ფირმა მანქანით“ მოიწონა. დღეს მცირეწლოვანი შვილით ნინოს ცხოვრება მეუღლის გვერდით იძულებაა.

„17 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა ჩემი გათხოვება გადაწყვიტეს, ამის ნამდვილი მიზეზი ჩემს „კარგ ბედში ჩაგდებაზე“ მეტად, გაგდება იყო. მშობლებს, ალბათ, ვუყვარდი კიდეც, მაგრამ ეკონომიურად ძალიან გვიჭირდა, ჩემს გარდა, კიდევ 4 შვილი ჰყავდათ. მე მათ შორის ყველაზე უფროსი ვიყავი და ჩემი გათხოვებით სარჩენი მოაკლდებოდათ. მითხრეს, რომ ქმარი უკეთ მომივლიდა და ჩემს ოცნებას, რომ უმაღლესი განათლება მიმეღო, ამიხდენდა. მომავალი ქმარი ორჯერ ვნახე და მესამედ მისი ცოლი გავხდი. ოცნება, რომ უმაღლესში ვისწავლიდი, ოცნებად დამრჩა, რადგან ახალმა ოჯახმა გამომიცხადა, სწავლა გათხოვილი ქალის საქმე არ არისო.

კონფლიქტი ჩემსა და მეუღლეს შორის პირველად სწორედ ამ მოტივით დაიწყო, ვახსენებდი მის დაპირებას და ვთხოვდი, დამხმარებოდა განათლების მიღებაში. ამის გამო ჩემს მიმართ თანდათან აგრესიული ხდებოდა. პიროვნული შეურაცხყოფიდან ცემაზეც გადადიოდა, თან, ეს ხდებოდა ჩემი ფეხმძიმობის პარალელურად. შვილი ჯანმთელობის პრობლემით დამებადა, რაც ზუსტად ფეხმძიმობაში მეუღლის ცემის შედეგია, მაგრამ მას რომ ჰკითხოთ, ბავშვს ეს პრობლემა გენეტიკურად დედისგან ერგო, ჩემი ქმართან ცხოვრება იძულებაა, მაგრამ წასასვლელი არსად მაქვს, შვილს მკურნალობა სჭირდება და ამას მე ვერ შევძლებ.“

შსს-ს ინფორმაციით, ოჯახში ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი ბოლო 4 წლის განმავლობაში თბილისის შემდეგ აჭარაში დაფიქსირდა. სულ დაფიქსირებულია 1025 ფაქტი, რომელშიც 1997 პირი მონაწილეობდა.

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სტატისტიკა არაზუსტია, რეალურად ოჯახში ძალადობის შემთხვევები გაცილებით მეტია. რადგან ძალადობის მსვერპლნი სამართალდამცავებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართავენ. უკიდურეს შემთხვევად სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის შექმნილი საფრთხე იგულისხმება.

ხშირ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლნი ვერ აცნობიერებენ, რომ მათზე ძალადობენ დიდი ხნის განმავლობაში და მიაჩნიათ, რომ ეს ნორმალურია. შესაძლოა, ძალზე რთულიც იყოს ის, რომ ძალადობა დაარქვა შენს ცხოვრებას და გააცნობიერო, რომ ხარ მსხვერპლი.

არსებობენ მსხვერპლთა სხვა კატეგორიებიც. ისინი, მართალია, რთულ რეალობას ადეკვატურად აცნობიერებენ, ხვდებიან, რომ არიან ძალადობის მსხვერპლნი, მაგრამ საკუთარ თავს თმენის ზედმეტ ვალდებულებას აკისრებენ, არჩევენ კონფლიქტების ჩუმად მოგვარებას და თავს იკავებენ პოლიციის გამოძახებისგან, რადგან თავიანთი, თუნდაც, მოძალადე ოჯახის წევრი ციხეში არ ჩასვან.

არის ორი ძირითადი ფაქტორი: პირველი – ყბადაღებული მენტალიტეტი, ანუ „რას იტყვის ხალხი“ ან მეორეც – მსხვერპლის შიში, რომ ციხიდან დაბრუნებული მოძალადე მის მიმართ კიდევ უფრო აგრესიული გახდება.

***

**ელისო გაბადაძე** 15 წელია, სასწრაფო დახმარების თანამშრომელია. ამბობს, რომ პრაქტიკაში ოჯახური ძალადობის შედეგად დაშავებულთა მიერ სასწრაფო გამოძახებები საკმაოდ ხშირია, თუმცა უმეტესად დაშავებულის მითითებით საქმეში სულ სხა რამ იწერება: ნაცემის ნაცვლად – შემთხვევით დაშავებული და ასე შემდეგ. ვერ ვიტყვით, რომ ასეთი შემთხვევები ადრე არ იყო და ახლა გახშირდა, იყო და არის დღესაც. მივდივართ ადგილზე და დაზიანების კვალის მიხედვით, ვხედავთ, რომ სახეზეა ოჯახური კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დაზიანებები, თუმცა ხშირად ისინი არ ამბობენ სიმართლეს, ხელს აფარებენ მოძალადე ოჯახის წევრებს და ნაცემის ნაცვლად, საქმეში იწერება დაცემული, ჩამოვარდნილი, წაქცეული და ასე შემდეგ.“

შსს-ს ცნობით, მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები, გამოვლენილ 976 მოძალადეს შორის 887 მამაკაცია, ხოლო 89 ქალი.

სტატისტიკის მიხედვით, ოჯახში ძალადობის მსხვერპლნი ყველაზე ხშირად 25- დან 44 წლამდე ქალები არიან. ასევე – 44 წელს გადაცილებული მამაკაცები. ძალადობის ფაქტების რაოდენობით საქართველოს რეგიონებში პირველ ადგილზეა თბილისი (632 ფატქი), შემდეგ – აჭარა (108) ფაქტი.

ძალადობა, როგორც პრობლემა, თავის თავში კიდევ რამდენიმე პრობლემას მოიცავს. თუნდაც ის, რომ ისტორიულად ქალების წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობას არ აღიქვამენ როგორც „ დანაშაულს“, რაც იმით დასტურდება, რომ მამაკაცების მიერ პარტნიორთა ჩაგვრაში დამნაშავედ ცნობას იშვიათად თუ მოჰყვება ხოლმე სერიოზული შედეგი, როგორიცაა დაპატიმრება ან ფულადი ჯარიმა. საზოგადოება ძალზე იშვიათად ჰკიცხვას მჩაგვრელს, რადგან ეს თითქოს მიღებული ნორმაა.

***

**გელა სიორდია** (იურიდიული სამსახურის იმერეთის ბიუროს უფროსი და ტრენერი ოჯახში ძალადობის საკითხებზე):

„2012 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია, კოდექსის 126-ე მუხლი განმარტავს ოჯახში ძალადობის კრიმინალურ ხასიათს და აწესებს პასუხისმგებლობას ჩადენილი ქმედებისთვის, რაც უმეტესად ფულადი ჯარიმის ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის დაკისრებით განისაზღვრება. პრაქტიკულად, თავისუფლების აღკვეთა ასეთ შემთხვევებზე არ ხდება. კოდექსის მთავარ ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კანონში საერთოდ არაფერია ნათქვამი მოძალადე არასრულწლოვანთა შესახებ. არადა, პრაქტიკაში საკმაოდ ხშირი, როდესაც არასრულწლოვანები ახორციელებენ ძალადობას მოხუცებზე, მათ შორის – საკუთარ ბებიაზე, ბაბუაზე. კანონი აუცილებლად უნდა ამბობდეს რამეს ასეთ შემთხვევებზე საპასუხოდ. არსებობს საქართველოს სამ ქალაქში ქუთაისში, თბილისსა და ბათუმში სახელმწიფო თავშესაფრები, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი კონფიდენციალურია,“

მოძალადეები უმეტესად ის ადამიანები არიან, რომლებმაც თავი ვერ დაიმკვიდრეს საზოგადოებაში, უჩნდებათ უკმარისობა და ცდილობენ, ეს დანაკლისი ოჯახის წევრების ხარჯზე შეივსონ. ამყარებენ მათზე დიქტატურას და მიმართავენ ძალადობას, ძალადობა ხშირად ხორციელდება მოხუცებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, ანუ ძლიერი ჩაგრავს სუსტს და ცდილობს, დაამყაროს მასზე ძალადობა.

კითხვაზე, რატომ ხდება ძალადობა? რა უნდა გავაკეთოთ თითოეულმა ჩვენგანმა ცალკე და ერთად, როგორც საზოგადოებამ, ძალადობის პრევენციისთვის, სად არის მთავარი პრობლემა? ფონდი სოხუმის ფსიქოლოგი **მანანა გოცირიძე** გვპასუხობს: „პრობლემა, რა თქმა უნდა, თითოეული ჩვენგანის თვითშეგნებაში, კულტურაშია. ქვეყანაში რამდენი სახლია, იმდენი მიკროკულტურაა, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ამის აღიარება ფაქტია, რომ ჩვენ განვითარებადი ქვეყანა ვართ, ვართ ერი, სადაც გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით, კულტურა ძალიან დაბალია, ქალი ყოველთვის ქვედა საფეხურზე მოიაზრება. ძალადობა ჩაკეტილი წრეა და თუ ქალმა ის არ დაანგრია, ყოველთვის იქნება მსხვერპლი, ამიტომ როდესაც გავხდებით გენდერულად მგძნობიარე ერი, ძალადობის შემთხვევებიც მოიკლებს.“

***

კულტურის და თვითშეგნების ამაღლებასთან ერთად, ალბათ, აუცილებელია არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება, რათა საზოგადოებამ თავის მხრიდან უფრო გაბედულად და ღიად გამოხატოს თავისი აზრი ძალადობის შესახებ. არ უნდა გვეგონოს, რომ ოჯახური ძალადობა მხოლოდ ჩამორჩენილი ქვეყნების დამახასიათებელია და ჩვენთვის ეს უცხო ხილია, ძალადობა ხორციელდება საზოგადოების მაღალ საფეხურზე მდგარ ოჯახებშიც და მას ახორციელებენ საკმაოდ მაღალი სტატუსის მქონე ადამიანები. გამოდის, რომ ერუდირებულობა და შემდგარი პიროვნულობაც არ არის გარანტია იმისა, რომ ასეთი ადამიანი მოძალადის სტატუსსაც არ შეითავსებს. არადა, რთული მდგომარეობიდან მარტივი გამოსავალიც შეიძლებოდა გვეპოვა — ნუ ჩავაგდებთ ადამიანებს ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც თავად არ ვისურვებდით ყოფნას.

**ეკა შალამბერიძე**

## შემოსავლების სამსახურმა დაუბეგრავი მინიმუმის მიღებასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გაავრცელა

**შემოსავლების სამსახურმა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცესის მიმდინარეობის შესახებ საკუთარ ვებ-გვერდზე 8 აპრილს სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ნათქვამია:**

დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცესისადმი საზოგადოებრიობის დიდი დაინტერესების გათვალისწინებით, შემოსავლების სამსახური კიდევ ერთხელ განმარტავს:

დაუბეგრავი მინიმუმის გაცემის საფუძველია:

1. პირის მიერ წარმოდგენილი დეკლარაცია, რომლის შევსება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდის საშუალებით, ან ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში;

2. დამქირავებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია 2013 წლის სახელფასო განაცემების შესახებ.

ამასთან, კანონის შესაბამისად, დამქირავებელს შეუძლია დააზუსტოს განაცემების შესახებ ინფორმაცია. დაზუსტების შემდეგ პირი, რომელიც დეკლარირების სისტემის მიხედვით არ სარგებლობდა დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების უფლებით, შესაძლოა, აღნიშნული უფლებით მოსარგებლეთა სიაში აღმოჩნდეს.

აქვე განვმარტავთ, დაუბეგრავი მინიმუმის ფარგლებში მიღებული თანხა დამქირავებელთან ან ბიუჯეტის სასარგებლოდ უკან არ ბრუნდება.

დაუბეგრავი მინიმუმის მიმღებ პირს არ აქვს ვალდებულება თანხა დაუბრუნოს დამქირავებელს ან დააბრუნოს ბიუჯეტში.

შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაცია „მთავრობის მიერ შეცდომით გადარიცხული თანხის ფიზიკური პირებისგან უკან მოთხოვნის“ შესახებ, სიცრუეა! არ არსებობს არც ერთი ასეთი ფაქტი და, ბუნებრივია, ვერ იარსებებს მომავალშიც.

8 აპრილის 13.00 საათის მონაცემებით: დეკლარაცია შეავსო 325 000-მა მოქალაქემ. აქედან მესამედს მითითებულ საბანკო ანგარიშებზე უკვე დაუბრუნდა შესაბამისი თანხა. კანონის ფარგლებში, ეტაპობრივად, დეკლარაციის საფუძველზე, თანხა დაუბრუნდება ყველა ადრესატს.

psnews.ge



ერთი ფოტოს ისტორია

# ყველასთვის ნაცნობი უცნობი

**პრეზიდენტის ყოფილმა პრესსპიკერმა, მანანა მანჯგალაძემ სოციალურ ქსელში 9 აპრილთან დაკავშირებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფოტოს გმირის ისტორია გაავრცელა. როგორ და სად ცხოვრობს დღეს იგი, ამის შესახებ თავად ჟურნალისტი ყვება.**

„რამდენი სიუჟეტი, რეპორტაჟი გამიკეთებია 9 აპრილზე ამ წლების ჩემი ჟურნალისტობის დროს, მაგრამ ამ პატარა თბილისში, იური მეჩითოვის ფოტოზე გადაღებული ეს გოგონა საქართველოს დროშით, რომელიც ჩემი 9 აპრილია ვერც ერთხელ ვერ ვიპოვე.

რამდენიმე საათის წინ მეც როგორც თითქმის ყველას 9 აპრილი მარტო 9 აპრილს გამახსენდა, სურათი ისევ დავდე და მივაწერე — „რამდენი წელია ვეძებ-თქო..." დილით ნინომ მომწერა: მე ვიცნობ ამ გოგოს და იტალიაში, ემიგრაციაში ცხოვრობსო, დოდოშკამ სამხატვროში სწავლობდაო... ისევ ვარაუდების, თბილისური ლეგენდა-ვერსიების ამარა დავრჩი... სამი საათისთვის ლიზა კინოში წავიყვანე, წლებია, დასვენების დღეს არ დამისვენია და დღეს ლიზას სამსახურში ჩავდექი, „რიო 2"-ის ბილეთები რუსთაველში არ დამხვდა და „ამირანში" ავიღე, სეანსი ერთი საათით გვიან იწყებოდა, ამიტომაც პეპსით და „პოპ კორნით" შეიარაღებული facebook-სა და ვაიბერს ჩავუჯექი...

თამარა დიდი ხანია ჩემი „ოპერატიული მუშაკია", საოცრებები იცის ან იგებს. შეტყობინებაც მისგან დამხვდა. შენი სურათი ჩემმა მეგობრებმა გაიზიარეს იტალიაში და ნახე რა მოიწერესო.

„მარი (ნანა) მახარაძე მოგესალმებით ყველას, დიდი მადლობა ბატონ იური მეჩითოვს ამ საოცარი ფოტოსათვის, ეს დღე მუდამ უნდა ახსოვდეს ქართველ ხალხს. არასოდეს არ ვთვლიდი საჭიროდ მეთქვა: ამ ფოტოზე ასახული გოგონა მე ვარ, რადგან ეს არასოდეს ყოფილა ჩემთვის მხოლოდ ჩემი ფოტო, დღეს ძალიან შორს ვარ ჩემი ქვეყნიდან..."

რაღაც უცნაურად ვიგრძენი თავი. დიდი ხნის უნახავ, უფრო სწორად დაკარგულ ახლობელს რომ იპოვი. ჩემი 9 აპრილი ვიპოვეე... მერე სოციალურ ქსელში მისი სახელი და გვარი ავკრიფე — მარი (ნანა) მახარაძე და მივწერე... ყველაფერი მაინტერესებდა... ყველაფერი... პასუხი ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა: „დიახ, მე გახლავართ იმ ფოტოზე. თქვენ საიდან მომაგენით?" „პროფესია მაქვს ასეთი" — ვუპასუხე, გავეცანი და შემდეგ კითხვაზე გადავედი. ფოტოს შესახებ ვკითხე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა იციან ამ სურათის შესახებ, ფოტოს ავტორიც კი ეძებდა. ფოტო 10 აპრილს საპროტესტო მსვლელობის დროს ქუჩაში გადაიღო იური მეჩითოვმა.



ყველაფერი გამახსენდა. თბილი აპრილის დღეები. რაღაცნაირი — უცნაური განწყობა და დამოკიდებულება, რამდენი მიტინგი და აქცია გამართულა თბილისში. ისეთი მას შემდეგ არ მახსოვს. არც ის წუთი მავიწყდება, საოცარი სიჩუმე... მოარული კასეტები, ჯოხით ტანკთან შებმა. „დაუკარიიით რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს..." ეს ხმაც მახსოვს, მერე უკვე მორგის კადრები, დაღუპულების სახელები, კომენდანტის საათი, შევარდნაძის ჩამოსვლა, მისგან პირველად თქმული სიტყვა პლურალიზმი, განცხადებები, პატიაშვილი, ზვიადი, მერაბი, ხალხი... მოწამლულები, ექიმები, მილიცია, როდიონოვი, ალესილი ნიჩბები. „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები" და ზინა კვერენჩხილაძის მიერ წაკითხული რაღაც უცანური გოდება სიონის ტაძარში... ქუჩაში გამოსული ხალხიიი, მანქანები გაუჩერებელი „სიგნალებით" (საყვირებით), არ ვიცი, ვინ დაიწყო, საიდან აგორდა, მაგრამ ეს მახსოვს — ყველა მანქანა ასე დადიოდა... ამ ხმას ვერ გაექცეოდი, ვერ დაემალებოდი... ეს სურათიც მაშინ არის გადაღებულიიი, იმ პროტესტის დროს...



მარი (ნანა) მახარაძე. 2014 წელი. იტალია.

„ამ ფოტოზე 19 წლის ვარ, უნივერსიტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, ფიზიკის ფაკულტეტი. მე ნაცნობმა ჟურნალისტმა გოგონებმა მითხრეს: შენი ფოტოები დაიბეჭდა გაზეთებშიო. პლაკატებიც იყო ამ ფოტოსი. ცოტა რთულად გვქონდა საქმე. მამიდაჩემი პარტორგანიზაციის მდივანი იყო, რაიკომში ერთ-ერთი დიდი თანამდებობა ეკავა, ჩემი მშობლებიც პარტიულები იყვნენ, ყველა ძალიან ნერვიულობდა, მამიდამ ჩემს გამო საყვედურიც მიიღო პირად საქმეში შეტანით, თუმცა მხოლოდ ის აღელვებდათ მოწამლული ვიყავი თუ არა. საბედნიეროდ — არა.

ამ ფოტოზე რომ მანქანაა, იმ მანქანის კარებზე ვარ ჩამომჯდარი, მე და ჩემი ბიძაშვილი უცებ აწყობილი დროშით მივდივართ რუსთაველზე, დილის 11 საათი იქნებოდა.

მაშინ დიდუბეში ვცხოვრობდით. პლეხანოვზე, კინოსტუდიასთან იქ მომუშავე მიჭები იდგნენ, ძალიან გაღიზიანებულები და დაღლილები, გვკითხეს გოგოებო სად მიდიხართ, ფრთხილად იყავითო და შემოგვთავაზეს შემოგიერთდებითო. მართალი გითხრათ არც კი ვიცნობდით ამ ბიჭებს, თუმცა ამას მაშინ არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ყველაზე მეტად ამაზე მწყდება გული, ისეთი ერთსულოვნება და თავდადება, ისეთი სიყვარული რაც მაშინ იყო, აღარასოდეს აღარ მიგრძვნია."

აქ მისი 9 აპრილი მთავრდება და ის იწყება, რაც, ალბათ, ამ ქვეყნის ბოლო 25 წელს ძალიან ჰგავს... ტყუილად ხომ არ გახდა, როგორც დღეს იტყვიან, იმ დღეების სახე და ყველაფერი, რაც ამ ქვეყანაში მოხდა, მის ცხოვრებაზე ზუსტად აისახა.

„ახლა იტალიაში ვცხოვრობ, ჩემდა სამწუხაროდ. ვმუშაობ როგორც ყველა ემიგრანტი. იცით, ალბათ, ეს რას ნიშნავს. 3 თვის წინ მეუღლე გარდამეცვალა, ჩამოსვლაც ვერ მოვახერხე. მყავს ერთი გოგონა 22 წლის, რომელსაც ამ წუთას აღარც მამა ჰყავს და აღარც დედა. მქონდა ჩემი ბიზნესი, თუმცა როგორც უმეტესობას კრიზისის გამო ყველაფერი დამენგრა. ბინაც სადაც ვცხოვრობდით, ჯერ ბანკმა შეგვიჭამა და მერე კერძო იპოთეკარებმა. ბინის პრობლემა რომ არა, ამ ჯოჯოხეთში არც წამოვიდოდი. ძალიან მწყდება გული, ასე რომ მოხდა. იმაზეც მწყდება გული, რომ ვუყურებ ამ ქართველების ყოფას. არ ვიცი, რამდენი ხანი დამჭირდება კიდევ ამ ჯოჯოხეთში გაძლება. თუმცა, სასიკეთოს, მართალი გითხრათ, დღეს ვერაფერს ვხედავ საქართველოში. ერთიც არის, თავზე ჭერი რომ მქონდეს, აქ ერთ დღესაც არ გავჩერდებოდი. იმიტომ არა, რომ აქ ძალიან მიჭირს, უბრალოდ, აქ არც კი ვარსებობ..."

არც კი ვარსებობ იქ, სადღაც, იტალიაში... არადა, სურათზე როგორი შეუვალია, წარმოვიდგინე დაღლილი, ამ სიტყვების თქმის თუ წერის დროს როგორი შეწუხებული, შეიძლება ცრემლიანიც იყო. ასობით ისტორიის მსგავსი თავგადასავლით. მთელი 25 წელი ჩაჯდა ამ რამდენიმე წინადადებაში...

სულ რაღაც ერთი საათი ვისაუბრეთ, მერე მომიბოდიშა, ჩემი შესვენება მთავრდება და უნდა დაგემშვიდობოთო, მეც შევწუხდი — იქნებ, შვილთან სასაუბრო ერთი საათი წავართვი. ნებართვა ავიღე, ამ ჩვენს საუბარს გამოვაქვეყნებ-თქო, დამთანხმდა და დამემშვიდობა. მე კი მინდა, იცნობდეთ ამ გოგონას 9 აპრილის ფოტოდან — 25 წლის შემდეგ — ოღონდ იტალიიდან. არადა, გოგონა სურათზე სულ სხვანაირი ისტორიით მინდოდა, რომ ყოფილიყო... ისევე, როგორც სხვანაირი მინდოდა ყოფილიყო ჩემი ქვეყნის ისტორიაც..."

**მანანა მანჯგალაძე**

სკოლის დღიური

## „საქართველოს ისტორიული წარსული" – ღონისძიება 23-ე საჯარო სკოლაში

ქუთაისის 23-ე საჯარო სკოლის IVა კლასმა 9 აპრილს ღონისძიება მიუძღვნა (კლასის ხელმძღვანელი ირინა ბოჭორიშვილი), რომელსაც „საქართველოს ისტორიული წარსული" ერქვა.

ღონისძიების სამზადისს წინ უძღოდა ექსკურსია გელათში, ბაგრატის ტაძარზე, გეგუთის ციხე-დარბაზში. მოსწავლეებმა მოიძიეს ისტორიული მასალები ქართველ მეფეთა რეზიდენციის — „ოქროს ჩარდახის" შესახებ. მომზადდა პროექტი „საქართველოს მეფეები".

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ყველა მოსწავლემ. ბავშვებმა ძირფესვიანად შეისწავლეს საქართველოს ისტორიული წარსული. ამ ღონისძიებამ მათ გაუღვივა პატრიოტული სულისკვეთება სამშობლოსადმი. ეს დღე მათ არასოდეს დაავიწყდებათ.





## 23-ე საჯარო სკოლაში გლობალური დათბობის შესახებ ისაუბრეს

2014 წლის 5 აპრილს ინგლისური ენის პედაგოგის, თამთა ხარაბაძის ხელმძღვანელობით, ქ. ქუთაისის №23 საჯარო სკოლის მე-9ა კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტი „ჩვენი პლანეტა გლობალური დათბობის წინააღმდეგ".

პროექტი განიხილავდა გლობალური დათბობისაგან პლანეტის დაცვის ძირითად საკითხებს.

გლობალური დათბობა ძალზედ აქტუალური საკითხია მთელს მსოფლიოში. მეცნიერების აზრით, 50 წლის შემდეგ დედამიწაზე ტემპერატურა $2^0$-ით მოიმატებს. ეს გამოიწვევს ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე ყინულის დნობას და ზღვის დონის ამაღლებას.

გლობალურ დათბობასთან საბრძოლველად შეიქმნა „კიოტო პროტოკოლი" (1997 წ.).

გლობალურ დათბობას საგრძნობლად ამცირებს ნაციონალური პარკები – სწორედ ამაზე გაამახვილეს ყურადღება მოსწავლეებმა.

ამ პროექტის საშუალებით მოსწავლეებმა აითვისეს მნიშვნელოვანი მასალა და თავადაც დაფიქრდნენ – როგორ შეუძლიათ, დაეხმარონ პლანეტას დაბინძურებისა და გლობალური დათბობის თავიდან აცილებაში.




## 23-ე სკოლის მოსწავლეებმა ქალაქის ხელმძღვანელობასთან ერთად სკოლის ეზოში ხეები დარგეს

2014 წლის 4 აპრილს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ, ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა ლევან კირკიტაძემ, მერიის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებმა და გამარჯვების მუნიციპალიტეტის თავმჯდომარემ დავით ახვლედიანმა სსიპ ქალაქ ქუთაისის №23 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად სკოლის ეზოში ნეკერჩხლისა და იფანის ხეები დარგეს.



# ბრალდებული შეურაცხადობის შემთხვევაში, იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას დაექვემდებარება

**პირის შეურაცხადობის გამო, სისხლის სამართლებრივი დევნის საკითხები ახლებურად დარეგულირდება. „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში „იძულებითი მკურნალობის“ წესი ბრუნდება, რაც კანონიდან რამდენიმე წლის წინ ამოიღეს.**



კერძოდ, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო, სასამართლო მის მიმართ სისხლის სამართლებრივ დევნას წყვეტს და პირს იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას უნიშნავს.

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კანონში, „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ და მასთან ერთად, „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შექმნის შესახებ“ კანონში ცვლილებების ინიციატორი პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტია. პროექტი დეპუტატებმა დიმიტრი ხუნდაძემ და მირიან წიკლაურმა მოამზადეს.

სადღეისოდ, ბრალდებულის შეურაცხადობის შემთხვევაში, მისი მკურნალობა ე.წ. არანებაყოფილობითი მკურნალობისათვის დადგენილი წესით — მკურნალობის 6-თვიანი ვადის ფარგლებში ხორციელდება, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად. კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ეს წარმოადგენს პრობლემას როგორც მოსამართლეებისთვის, ასევე ფსიქიატრიული დაწესებულებისთვის. ამასთან, მთელ მსოფლიოში მიღებულია, რომ ასეთი პაციენტების მკურნალობის ხანგრძლივობა, აგრესიის ხარისხის შესამცირებლად, დანაშაულის სიმძიმიდან გამომდინარე განისაზღვრება.

პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, ბრალდებულს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა ენიშნება, თუ მას ფსიქიკური აშლილობის გამო არ გააჩნია გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების გაწევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე. კიდევ ერთი კრიტერიუმი არის, თუ პირის ფსიქიკური აშლილობა განაპირობებს საკუთარი თავის ან სხვა პირისთვის საზიანო, მუქარის შემცველი ან ძალადობის შემცველი ქცევის რისკს. კანონპროექტი ადგენს ნორმას, რომ პირი შეიძლება განთავსდეს მხოლოდ იმ სტაციონარში, რომელშიც უზრუნველყოფილია უსაფრთხოების პირობები და დანერგილია რისკის შემცირების, რესოციალიზაციისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესების შესაბამისი პროგრამები.

ასევე დგინდება ვალდებულება, რომლის მიხედვით ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმ-ფსიქიატრთა კომისია ვალდებულია სტაციონარში მოთავსებიდან ყოველ სამ თვეში ერთხელ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტის მიმართ მკურნალობის შეწყვეტის საკითხი შეაფასოს. თუ ექიმ-ფსიქიატრთა კომისია მორიგი ან ვადამდელი შემოწმებისას დაასკვნის, რომ მკურნალობის საფუძვლები აღმოიფხვრა, ფსიქიატრიული დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია დასკვნის მიღებისთანავე მიმართოს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს — დასკვნის დადასტურების ან უარყოფის მოთხოვნით. ბიუროს მიერ ექიმ-ფსიქიატრთა კომისიის დასკვნის დადასტურება არის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მყოფი პაციენტის სტაციონარიდან დაუყოვნებლივ გაწერის საფუძველი, ხოლო უარყოფა — იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის გაგრძელების საფუძველი.

პროექტის თანახმად, პირი გაწერის შემდეგ ვალდებულია აღრიცხვაზე დადგეს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით უახლოეს ამბულატორიულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

რაც შეეხება „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ დაგეგმილ ცვლილებებს, მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს „სისხლის სამართლის კოდექსით“ განსაზღვრული ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის — 2 წელს, მძიმე დანაშაულისთვის — 4 წელს და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის — 10 წელს.

ვადის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობა და მისი მხრიდან საკუთარი თავისი ან სხვა პირისთვის საზიანო, მუქარის შემცველი ან ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომლის შეფასებაც მოცემულია სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში ბრალდებულის შეურაცხადობის თაობაზე.

ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დადგენილ ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხი მკურნალობის დადგენილი საფუძვლების აღმოფხვრისთანავე.

**„ინტერპრესნიუსი“**

# ისტორია და ხარისხი — ქართული ღვინის მთავარი ფოკუსი

**თუ ქართული ღვინო თავის რვაათასწლოვანი მეღვინეობის ტრადიციებს თანამედროვე სტანდარტებთან შეახამებს, საქართველოს აქვს სრული შანსი, რომ ღვინის მწარმოებელი ქვეყნების მსოფლიო რუკაზე ისტორიული და ხარისხიანი ღვინის მწარმოებელი რეგიონის ადგილი დაიკავოს. ასე ფიქრობს ლისა გრანიკი, ღვინის მაგისტრი ნიუ-იორკიდან.**

**იგი ერთ-ერთია საერთაშორისო დონის ღვინის მაგისტრების იმ ჯგუფიდან, რომელიც დღესდღეობით მსოფლიო მასშტაბით მხოლოდ 275 ღვინის მაგისტრს ითვლის და რომელთა აზრსაც საერთაშორისო ღვინის ბაზარზე დიდი წონა აქვს. ქალბატონი ლისა ქართულ ღვინოს მაღალ შეფასებას აძლევს და ამერიკის ბაზარზე შესვლაში ეხმარება. ის ქალაქ დუსელდორფში 23-25 მარტს გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო გამოფენა „პროვაინ 2014“-ს ესწრებოდა, სადაც ქართული სტენდიც მოინახულა და bpn-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში ქართული ღვინო შეაფასა.**



**— ქალბატონო ლისა, რამდენად მნიშვნელოვანია „პროვაინზე“ დასწრება ქართული ღვინისთვის?**

— „პროვაინი“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი გამოფენაა დასავლეთში და ბიზნესისთვის ეს არის ადგილი, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრები ხდება და სავაჭრო გარიგებები იდება. ამიტომ კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ აქ იყო და თანმიმდევრული პროფესიონალური პრეზენტაცია წარადგინო.

**— ქართველების პრეზენტაცია როგორ მოგეწონათ?**

— ქართული პრეზენტაცია იყო ძალიან პროფესიონალური, ზუსტი და ღვინოებიც მშვენივრად გახლავთ წარმოდგენილი.

**— თქვენ რომელ ღვინოს გამოარჩევდით?**

— მე პირადად „შატო მუხრანის“ და „ვინოტერას“ ღვინოების დიდი მოყვარული ვარ, ორი სრულიად განსხვავებული ბრენდი და სტილია, მაგრამ ორივეს ფანტასტიური ღვინოები აქვთ.

**— ქართული ღვინის პერსპექტივებს როგორ ხედავთ მსოფლიო ბაზარზე?**

— დღეს ახლის ძიების დიდი ინტერესია და უამრავ ადგილს ნახავთ, სადაც ამბობენ, რომ აქვთ რაღაც ახალი ხარისხი, მაგრამ მათ არა აქვთ ის ისტორია, რაც ქართულ ღვინოს. ქართულ ღვინოს აქვს როგორც არაჩვეულებრივი ისტორია, ისე გამორჩეულად მაღალი ხარისხი, როგორც ბოლო დროს დასტურდება. მართალია, ის დღეს არ წარმოადგენს ღვინოს მომხმარებელთა ფართო მასისთვის, მაგრამ ღვინის მცოდნენი უბრალოდ მოხიბლული არიან ქართული ღვინით.

**— როგორ იღებს მომხმარებელი ახალი ქართული ღვინის სახეობებს?**

— ვინც ცოტა რამ იცის ქართული ღვინის შესახებ, ისინი იცნობენ რქაწითელსა და საფერავს, თუმცა ძალიან დიდი ინტერესია არსებული 300-ზე მეტი ქართული საღვინე ჯიშების მიმართ და როცა ისინი ბაზარზე გამოვლენ, მომხმარებელი კიდევ უფრო მეტ ინტერესს გამოიჩენს მათ მიმართაც.

**— საქართველოს ვაზის გენოფონდი პრინციპში 500-ს აჭარბებს, რამდენად დაეხმარება ასეთი მრავალფეროვნება ქართული ღვინის პოპულარიზებას?**

— მართალია ბაზარი სულ ახლის ძიებაშია, მაგრამ ყურძნის ყველა სახეობა ვერ იქნება პოპულარული. თუმცა, ისეთი მრავალფეროვანი ჯიშების მარაგი როგორიც საქართველოს აქვს, ძალიან კარგ საშუალებას იძლევა, რომ ყოველთვის გქონდეთ ე.წ. „ერთჯერადი პროდუქტის“ საკმარისი მარაგი. ვგულისხმობ, რომ ვთქვათ, მომხმარებელს მობეზრდა რქაწითელი და დაივიწყა საქართველო. ამ დროს შეიძლება ბაზარს შესთავაზოთ ახალი ჯიში, რომელსაც მომხმარებელი გასინჯავს და რომელიც შეახსენებს საქართველოს შესახებ. საქართველო არ არის დიდი ღვინის მწარმოებელი ქვეყანა, ის პატარაა და ყველგან ვერ იქნება წარმოდგენილი, ვერ აწარმოებს დიდ მოცულობებს, ამიტომ ის ყოველთვის იქნება ერთგვარი ნიშური მოთამაშე. ეს რაღაცით ჩამოჰგავს იმას, როცა ერთი პატარა კაცი იბრძვის კორპორაციის ინტერესების დასაცავად. ხალხს მოსწონს ასეთი მოთამაშე. ბაზარზე ერთბაშად 25 ყურძნის სახეობას ვერ გამოიტანთ, მომხმარებელი ვერ გადახარშავს ასეთ რაოდენობას. უმჯობესია, რომ დასაწყისისთვის ფოკუსი 5-6 სახეობაზე გააკეთოთ და როცა ეს ახალი სახეობები დაინერგება, ბაზარზე მერე ნელ-ნელა კიდევ დაუმატოთ ახალი.




ლისა გრანიკი

**— ქვევრის ღვინოზე რა აზრის ბრძანდებით? რა პერსპექტივა აქვს ბაზარზე, ის დასავლეთისთვის სრულიად ახალი ტექნოლოგიაა. ზოგმა ჯერ კიდევ არ იცის, საქართველო სად მდებარეობს და რატომ უნდა გასინჯოს ქვევრის ღვინო?**

— ღვინის ინდუსტრიაში მთავარი ურთიერთობებია. ურთიერთობა უნდა დაამყაროთ ღვინის შემსყიდველებთან და მომხმარებლებთან და გააცნოთ ღვინის წარმოშობის შესახებ, გააცნოთ რა არის ქვევრი და როგორ აყენებს თანამედროვე ევროპულისაგან სრულიად განსხვავებულ ღვინოს. უნდა ესაუბრო ადამიანს, სანამ ის გასინჯავს ღვინოს. ღვინო იდეა არ არის, ის არის სასმელი, რომელსაც მივირთმევთ.

**— თქვენ როგორ მოგწონთ ქვევრის ღვინო, და სად ხედავთ ქვევრის ღვინის ადგილს ქართული ღვინის ინდუსტრიაში?**

— ქვევრი ქართული ღვინის ფლაგმანი უნდა იყოს, ძალიან მომწონს. მომწონს გემო. მართალია ქვევრის ღვინო არ არის სუფთა, მაგრამ ექსპრესიულია და აქვს ინდივიდუალობა. ყველა ქვევრის ღვინო არ მომწონს, მაგრამ როგორც კატეგორია, ძალიან მომწონს, განსაკუთრებით რქაწითელი, მწვანე, კისი.

**— ამერიკელ მომხმარებლისთვის რამდენად პოპულარულია ქართული ღვინო?**

— არ არის ჯერ პოპულარული, რადგან ხალხი ჯერ ახლა იგებს მის შესახებ.

**— სად ხედავთ ქართული ღვინის ნიშას აშშ-ს ბაზარზე?**

— ჩემი აზრით, ისინი უნდა დაიდოს მთავარი ქალაქების დახვეწილ რესტორნებში: ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოში, ლოს-ანჯელესში და ჩიკაგოში.

**— საქართველო ღვინის სამშობლოდ ითვლება, აქვს უნიკალური ქვევრის ღვინის ტექნოლოგია და მსოფლიოში ვაზის ჯიშების ყველაზე მრავალფეროვანი გენოფონდი, მაგრამ დასავლეთი ჯერ კიდევ ნაკლებად იცნობს ამ ყველაფერს. როგორ უნდა გამოვიყენოთ ეს ყველაფერი, რომ შევქმნათ კარგი მარკეტინგული ლეგენდა და ქართული ღვინო უფრო პოპულარული გავხადოთ მსოფლიო ბაზარზე?**

— დღეს ძალიან დიდი ინტერესია ავთენტურობის მიმართ. გარკვეულწილად, ყველა ამბობს, რომ არის ავთენტური. მაგრამ ხალხი ძალიან დიდ ინეტერესს იჩენს საქართველოს, როგორც ღვინის სამშობლოს მიმართ. ადამიანები უბრალოდ აღფრთოვანებული არიან, რომ ეს არის ადგილი, სადაც, როგორც ჩანს, ღვინო პირველად დააყენეს. მიუხედავად იმისა, რომ 20-ე საუკუნეში იყო გარკვეული წყვეტა კომერციული განვითარების თვალსაზრისით, ხალხს არ დაუკარგავს ცოდნა, მეხსიერება, ხალხი სულ ამზადებდა ღვინოს სახლის პირობებში და ეს „ნოუ-ჰაუ“ შემოინახა. ეხლა, ჩემი აზრით, ქართულმა ღვინომ უკვე უნდა მიიღოს სარგებელი როგორც საკუთარი ისტორიიდან, ისე თანამედროვე ტექნოლოგიებიდან. დღეს საერთაშორისო ბაზარზე ისეთი მაღალი კონკურენციაა, რომ თუ ქართული ღვინო არ იქნება დამზადებული (თანამედროვე) ჰიგიენის და სისუფთავის წესების გათვალისწინებით, ის ვერ გაუწევს კონკურენციას ვერავის. თუმცა ტექნოლოგიური სიახლეები, რაც უკვე დაინერგა ქართულ ღვინის ინდუსტრიაში და ინვესტიციები, რაც ბოლო 10 წლის მანძილზე ჩაიდო ტექნოლოგიის, ჰიგიენის, ხარისხის კონტროლის და სანდოობის ამაღლების კუთხით, საშუალებას აძლევს საქართველოს, რომ მისი წარსულის გათვალისწინებით, თავი დაიმკვიდროს როგორც ისტორიული და ხარისხიანი ღვინის მწარმოებელმა რეგიონმა.

**ნინო ფაცურია**

bpn.ge

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** გაიგებთ ახალ ამბავს, რომელიც იქნება ძალიან მოულოდნელი და სასიხარულო მთელი თქვენი ოჯახისათვის. ხელსაყრელი მომენტია საყვარელ ადამიანთან ურთიერთობის გარკვევისათვის.

**კურო:** ვარსკვლავები გირჩევენ პატივისცემით მოეპყრათ და გაითვალისწინოთ როგორც საკუთარი, ასევე პარტნიორის მოთხოვნილებებიც.

**ტყუპები:** რეკომენდებულია ჩვეული საქმით, უკვე დაწყებული პროცესებით დაკავება. თქვენი იმიჯისთვის მნიშვნელოვანი გლობალური ახალი ინიციატივები სხვა დროისთვის გადადეთ. ამის დროც მოვა!

**კირჩხიბი:** თქვენ პარტნიორს რთული ხასიათი აქვს. გამწვავდება თქვენთან ერთ უღელში მყოფი ადამიანის მოთხოვნილებები: ყოფითი, საქმიანი, ფსიქოლოგიური, სოციალური და ფინანსური.

**ლომი:** თქვენი მატერიალური წარმატების ალგორითმი მეტად მარტივია, რაც უფრო მეტს შრომობთ, მით უფრო მეტს გამოიმუშავებთ.

**ქალწული:** დასახული მიზნისთვის დაძაბული მუშაობა ფანატიზმში გადაიზრდება. შესანიშნავი დროა რეალური შედეგების, თვალსაჩინო წარმატების მისაღწევად.

**სასწორი:** ხელსაყრელი მომენტია უძრავი ქონების მანიპულირებისთვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოსთვის. ხოლო გადასვლა ან დოკუმენტების გაფორმება გადადეთ.

**მორიელი:** ხელსაყრელი მომენტია გრძელვადიანი კომერციული გარიგებისთვის, საქმიანი მოგზაურობისთვის. მანქანის, ტექნიკური მოწყობილობის, სამუშაო აღჭურვილობის შეძენისას გარეგანი ღირსებებით ნუ მოიხიბლებით, კარგად დაათვალიერეთ შიგთავსი და შეამოწმეთ მისი ფუნქციონირება.

**მშვილდოსანი:** ნებისმიერი ურთიერთობა, რომელიც ვითარდება ქონებრივ-ფინანსური საფუძველზე, მეტად დაძაბული იქნება. მოსალოდნელია ემოციების ამოფრქვევა, პრეტენზიები და საქმიანი აქციების მითვისება.

**თხის რქა:** აქტიური და ენერგიული დღეები გელით. საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მწვერვალები დაიპყროთ.

**მერწყული:** მაქსიმალური კონცენტრირება გააკეთეთ პროფესიული და კარიერული სიმაღლეების მიღწევაზე, მხოლოდ მატერიალური სტაბილურობის და საქმისადმი ინტერესის უქონლობით დროზე ადრე მოგბეზრდებათ მძიმე და მოსაწყენი სამუშაო.

**თევზები:** საქმის დაწყებისთვის კარგი პერიოდია. არ ღირს გამოიჩინოთ სიფიცხე, არ ინერვიულოთ. გექნებათ ბევრი შეხვედრა და მოლაპარაკება.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. აბსცესი; 5. აბანო; 6. გნუ; 8. აცე; 9. მადამ; 11. ალტაირი.
**შვეულად:** 1. ფსონი; 2. ლეი; 3. ამბიცია; 4. იანვარი; 7. მატიე; 10. პტი.



# „ვაკის ფაშიზმი" და „ზანგი დამლაგებლები" ბენდუქიძის აუზში, ანუ „ჩვენს კლუბში ყველა ადამიანი თანასწორია, როცა შიშველია!"



გოგი გვახარიას ბლოგი

რადიო „თავისუფლება"
radiotavisufleba.ge

**ვაკის, როგორც ხალხი ამბობს, „ბენდუქიძის" აუზის შესახებ იმდენი ვწერე, ერთ წიგნს გამოვცემდი უკვე. ამ ადგილმა სიგარეტისთვის თავი დამანებებინა, მძიმე დაავადება თითქმის ბოლომდე დამაძლევინა და არაერთი კარგი ადამიანიც გამაცნო; არა იმდენად „კლუბის წევრები", რამდენადაც ე.წ. „მომსახურე პერსონალი", ადამიანები, რომლებიც ჩემი ოჯახის წევრებივით იქცნენ; ყოველდღე ვხედავ და კარგი გამარჯობის, მოკითხვის, ყურადღების მეტი არაფერი მახსოვს მათგან.**

ეს დაწესებულება ქართულ რეალობასაც ასახავს, იმას, თუ როგორ ეპყრობიან ადამიანებს შავ-შავ ჯიპიანი („7"-იანის აუცილებელი ვარიაციით მანქანის ნომერში) „ახალი ქართველები" — ძველი ცეკას ყოფილი მდივნების შვილები, შვილიშვილები და ცხადია, ნაცმოძრაობის და ოცნების ეპოქაში დაწინაურებულ-გამდიდრებული ქართველობა, რომელსაც სალაპარაკოდ, ძირითადად, ორი თემა აქვს: „ნადირობა" და „მარხვა", როგორ ეპყრობიან ადამიანებს და გარემოს.

მე არც ნადირობა მაინტერესებს და არც მარხვა. ამიტომ ამ ხალხთან კონტაქტში არ შევდივარ. თუმცა ერთხელ ვერ მოვითმინე და ერთ-ერთ ასეთ „კლუბის წევრს", რომელმაც დიდხანს იწმინდა ყურები, შემდეგ ყურის ჩხირი სანაგვეს დაუმიზნა, მაგრამ მიზანში ვერ მოახვედრა, შენიშვნასავით მივეცი: დაგივარდათ-მეთქი ვუთხარი. „არა უშავს, მოვა დამლაგებელი ბიჭი და მოუვლის", მითხრა რაღაც წარმოუდგენელი ზიზღით სახეზე და ყურებიდან ფეხის გამშრალებაზე გადავიდა.

ბედი არ გინდა? მთელი ცხოვრება ვერ ვიტანდი მდიდარ ქართველებს. რაღაც ტრავმა მაქვს მიღებული ამ ხალხისგან და მაინცდამაინც ისე მოხდა, რომ ბოლო 5 წელია, დღის მნიშვნელოვან მონაკვეთს მათთან ერთად ვატარებ (ქვეყნის სათავეშიც ხომ მოგვევლინა ერთი). ერთხელ ვიფიქრე, გამოცდაა ეს, ალბათ, უნდა მოვახერხო როგორმე და დავუახლოვდე ამ ხალხს, რადგან ერთი რამ არის, რისიც ნამდვილად მჯერა — ზიზღი აბრმავებს და აზროვნების უნარს უკარგავს ყველას. ჰოდა, არ მინდა ვინმე მეზიზღებოდეს! ბოლო დროს თითქოს მივაღწიე კიდეც ამას, ჩემს თავს ვეუბნებოდი, არავინ მაძალებს აქ სიარულს, ამიტომ თუ ასეთი არჩევანი გავაკეთე, კეთილი უნდა ვინებო და გავუძლო სიტუაციას. იმასაც კი არ ვაქცევდი ყურადღებას, როგორ მიმართავდნენ აქ ახლადაყვანილ ზანგ ბიჭს, დამლაგებელს (დღეს აუზის მენეჯერმა გვითხრა, რომ ამ ყმაწვილის სამსახურში აყვანით დირექციამ, ფაქტობრივად, თავიანთი პოზიცია გამოხატა იმის მიმართ, რასაც „რასიზმი" ჰქვია): ახლადგამდიდრებული ქართველი პლებეი ზანგის დამცირებაში ცდილობდა თავის დამკვიდრებას; ასე გაზარდეს, ასე გაზარდა კულტურამ. „ჩვენ რა, ზანგები ვართ"? ამბობდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და ამაზე ეცინებოდათ ვილაცებს. აგერ, ქვეყნის ყველაზე პოპულარულმა კაცმა, საქართველოს პატრიარქმა გვითხრა, მცხეთაში მხოლოდ მართლმადიდებლები და მონათლულები უნდა ცხოვრობდნენო, „ამინ, ამინ!" — იძახა ამ უკუნეთზე სრულიად მრევლმა.

ეს კულტურა რომ ნარცისულია, ყველაზე კარგად მოგზაურობის დროს გაიაზრებს კაცი. მახსოვს, თურქეთში პირველად რომ ვიმოგზაურე, როგორ გამაკვირვა თურქულ ავტობუსებში დაცულმა წესრიგმა და სისუფთავემ, გაოცებული დავრჩი, როცა თურქებმა შენიშვნა მოგვცეს, ხმამაღლა ნუ ლაპარაკობთო. და მერე, როცა საზღვარს აქეთ გადმოვედით და მატარებელში ჩავსხედით, როგორ ყარდა ქართული მატარებელი მოხარშული კვერცხის და ოფლის სუნით. ჰო, ჰო, ის მატარებელი, რომელსაც გადაჰყავდა სრულიად ქართველობა, თურქებზე რომ ამტკიცებს ზოგჯერ, სუნი ასდით, არ ბანაობენო.

საერთოდ, სუნი ერთ-ერთი ყველაზე სუბიექტური შეგრძნებაა, რომელიც თეთრკანიანი დამყრობლის კულტურამ თავის დროზე „დაახარისხა". მახსოვს, ფრანგი კინორეჟისორი ანიეს ვარდა წერდა, ძალიან გაგვიჭირდა მაყურებლისთვის დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენი გმირი მონა ბერჟერონი (ფილმი „კანონის და სახურავის გარეშე") უსახლკარო, მაწანწალა, რომელსაც ბანაობის და თავის მოწესრიგების საშუალება არა აქვს, პირველ რიგში კულტურის მსხვერპლიაო. ანიეს ვარდა გადაღების წინ ცხოვრობდა ყველაზე გაჭირვებულ ოჯახებში საფრანგეთის სამხრეთში, იმ ხალხში, ვინც ცხელი წყლის გადასახადს ვერ იხდიდა. დასაწყისში საშინლად შეგვაწუხა ამ სუნმა, გულიც კი გვერეოდაო, წერდა ვარდა, მაგრამ შემდეგ შევეჩვიეთ და ვეღარაფერს ვგრძნობდით. შესაძლებელია, იმიტომ, რომ ეს ხალხი შეგვიყვარდა და სუნს საერთოდ აღარ ვაქცევდით ყურადღებასო.

ის ახალგაზრდა ბიჭები, რომლებიც დღეს სამარცხვინოდ გამოაგდეს „ბენდუქიძის აუზიდან", ნამდვილად არ მიეკუთვნებიან მონა ბერჟერონის კლასს. ესენი იყვნენ არაბი ბიზნესმენები დუბაიდან, რომლებმაც ქალაქის ყველაზე ძვირ საცურაო აუზში ვარჯიში მოინდომეს — დავარცხნილები და გამოპრანჭულები. რაიმე არასასიამოვნო სუნს მათგან მხოლოდ მაშინ თუ იგრძნობდა კაცი (თუ ქალი), სექსუალური კონტაქტი რომ ჰქონოდა. ისე, გამორიცხულია რაღაც სუნი ეგრძნო, კარგი ფრანგული სუნამოს არომატის გარდა.

მაგრამ დიმიტრი უზნაძე ქართველი იყო და „განწყობის თეორია" დაწერა.

როგორც კი კლუბის წევრებმა გასახდელში შემოსული არაბულად მოსაუბრე ექვსი თუ შვიდი ახალგაზრდა დაინახეს, ჯერ ერთმანეთთან გამოხატეს აღშფოთება — ისეთი ზიზღით უყურებდნენ, რომ შემეშინდა აქვე, გასახდელში არ აეტეხათ ბათქა-ბუთქი. კიდევ უფრო აგრესიულები ქართველი ქალბატონები აღმოჩნდნენ. ჩემმა მეგობარმა, სოფო შამანიდიმ მიამბო ქალებზე, რომლებმაც არაბების დანახვაზე წივილ-კივილი ატეხეს, ამ აუზზე დასასვენებლად მოვდივართ, ამხელა ფულს ვიხდით და არ ვაპირებთ ჩავიდეთ წყალში, სადაც ეს ბინძურები ბანაობენო. „მე ამ ხალხთან ვმუშაობ და ვიცი როგორ ყარან", მიმტკიცებდა ერთი კლუბის წევრიო, მითხრა სოფომ და გაბრაზებული (სოფო შამანიდი საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველია ეთნიკურ უმცირესობასთან ურთიერთობის საკითხებში) შევიდა აუზის მენეჯერთან, როცა გაიგო, რომ არაბები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ აუზის ტერიტორია.

მენეჯერმა გვითხრა, რომ კლუბის წევრები აღშფოთდნენ, ეს არაბები ჰიგიენის წესებს არ იცავდნენ, ფეხშველები იყვნენ და საბანაო კოსტიუმიც არ ჰქონდათო. ჰოდა ჰიგიენაზე ის ნადირობის მოყვარული, „მარხვადაცული" კლუბის ქართველი წევრი გამახსენდა, ყური რომ გამოიწმინდა „ზანგ დამლაგებელს" რომ უხმო, დაიკუზე და ჩააგდე ნაგავშიო.

არა, მეგობრებო, სისულელეა იმის მტკიცება, რომ ფაშიზმის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ყოფიერებაში უნდა ვეძებოთ და რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესება, დასაქმება ქსენოფობიასთან ბრძოლის საუკეთესო საშუალებაა. დღეს მე გადავეყარე ფაშიზმს იქ, სადაც ყველაზე მდიდარი, ყველაზე შეძლებული ხალხი იკრიბება საქართველოში. სწორედ ეს ფაშიზმია — „ვაკის ფაშიზმი" — ყველაზე საშიში ქვეყნის განვითარებისთვის და ევროპასთან ჩვენი ინტეგრაციისთვის, რადგანაც ეს ფაშიზმი შობს არასრულფასოვნების ინსტინქტისგან დაბოღმილ პლებეებს, რომელთაც ქვეყნის თავზე შესკუპების და ადამიანთა მართვის ვნება მოსვენებას არ აძლევს. მათ მოსწონთ სწორედ „ზანგი დამლაგებლები", რადგან თავიანთ უძველეს წინაპართან, თეთრკანიან მონათმფლობელთან კავშირს ხედავენ ასე. ხედავენ და სიამოვნებისგან კრუტუნებენ, როცა ვინმეს ამცირებენ... და არავინ იცის, როგორ სუნს გრძნობს მათგან ეს „ზანგი დამლაგებელი". შესაძლებელია, მასაც არ სიამოვნებს თეთრკანიანი ქართველის სუნი, რომელიც კი ბანაობს დღეში სამჯერ, მაგრამ ზანგისთვის მაინც ყარს.

როგორ უნდა გავთავისუფლდეთ ქსენოფობიის მიმართ ზიზღისგან, არ ვიცი. თუმცა სოფო შამანიდის იდეა მომწონს, იდეა, როგორ „გამოვასწოროთ" ეს ადამიანები.

გამოაკარით აუზის შესასვლელში წარწერა, უთხრა სოფომ ვაკის აუზის მენეჯერს, ამ ამბებით მართლაც რომ ძალიან შეწუხებულ კაცს: „ჩვენს კლუბში ყველა ადამიანი თანასწორია, მით უმეტეს მაშინ, როცა შიშველია!"



შეადგინა ალეკო ნემსაძე

## ვინ არის ფოტოზე?



### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



პოლიტიკოსი **ჯონდი ბაღათურია სულიკო ფუტკარაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



დავით ნარმანია

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



აკაკი ბობოხიძე

„ნაგვის ცოცხი იყავ მუდამ, კვლავაც ცოცხად დარჩე უნდა."
**შაქრო გაბელაშვილი**

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. ედსონ ... დუ ნასიმენტუ პელე; 5. იგივეა, რაც ბატკანი; 6. ბაშკირეთის დედაქალაქი; 8. ბგერის გრაფიკული გამოსახულება; 9. აომინი ანუ? 11. მდინარე საქართველოში.

**ვერტიკალურად:** 1. აღმოსავლური ტკბილეული; 2. ხის პატარა ტოტი; 3. ერთი ქვეყნის თავდასხმა მეორეზე; 4. იგივეა, რაც სამარა; 7. შოკოლადის ხე; 10. ქალაქი ... ვეგასი.

